


PLUMBING  
WALLS  
USERS



ინსტრუქციები და  
გაფრთხილებები **GE**  
ტექნიკური მემონტაჟი  
მომხმარებელი  
ტექნიკოსი

\*1.047821GEO\*



# VICTRIX TERA V2 24-35 PLUS EU



## ინდექსი

ძვირფასო მომხმარებელი .....	4
ზოგადი გაფრთხილებები .....	5
გამოყენებული უსაფრთხოების სიმბოლოები .....	6
ინდივიდუალური დამცავი მოწყობილობები .....	6
<b>1 მოწყობილობის მონტაჟი .....</b>	<b>7</b>
1.1 გაფრთხილებები ინსტალაციის შესახებ .....	7
1.2 ძირითადი ზომები .....	14
1.3 ინსტალაციის მინიმალური მანძილი .....	15
1.4 მონაცემთა დაფის განლაგება .....	15
1.5 ყინვის საინააღმდეგო დაცვა .....	16
1.6 ჩალრმავებული ჩარჩოში დამონტაჟება (არასავალდებულო) .....	18
1.7 ჯგუფი მოწყობილობის საკავშირო სისტემა .....	19
1.8 გაზის შეერთება .....	20
1.9 ჰიდრავლიკური კავშირები .....	21
1.10 ელექტრონული კავშირი .....	22
1.11 დისტანციური მართვის პულტი და ოთახის ქრონოთერმოსტატები (არასავალდებულო) .....	24
1.12 გარე ტემპერატურის ზონდი (არასავალდებულო) .....	25
1.13 გრიპის სისტემების დამონტაჟების ტიპების ზოგადი მაგალითები .....	26
1.14 Immergas კვამლსადინარი სისტემები .....	28
1.15 "მწვანე სერიის" კვამლგამწოვი სისტემის შემადგენელი კომპონენტების ექვივალენტური სიგრძე .....	30
1.16 წვის კვამლის გამწოვი ქსელის მაქსიმალური სიგრძე .....	36
1.17 გარე მონტაჟი ნაწილობრივ დახურულ სივრცეში .....	38
1.18 ინსტალაცია ჩალრმავებული ჩარჩოს შიგნით პირდაპირი შენოვით .....	40
1.19 კონცენტრული ჰორიზონტალური ნაკრების მონტაჟი .....	41
1.20 კონცენტრირებული ვერტიკალური ნაკრების მონტაჟი .....	46
1.21 გამყოფი ნაკრების მონტაჟი .....	51
1.22 C <sub>9</sub> ადაპტერის ნაკრების დაყენება .....	54
1.23 (Ø 80/125) კონცენტრული ნაკრების C <sub>(10)</sub> კონფიგურაცია .....	56
1.24 C <sub>(10)</sub> - C <sub>(12)</sub> კონფიგურაციის გამყოფი ნაკრები (Ø 80/80) .....	59
1.25 კვამლგამწოვი ან ტექნიკური საჰაერო .....	65
1.26 კვამლსადენის დამონტაჟების C <sub>6</sub> კონფიგურაცია .....	66
1.27 B ტიპის კონფიგურაცია ღია კამერით და ფორსირებული ცირკულაციით შიდა გამოყენებისთვის .....	67
1.28 კვამლის საკვამურში/ბუხარში გადინება .....	67
1.29 სადინრები, საკვამურები, კვამლგამწოვი მოლები და ტერმინალები .....	68
1.30 სისტემის შევსების წყლის დამუშავება .....	69
1.31 სისტემის შევსება .....	70
1.32 კონდენსატის შემგროვებელი სიფონის შევსება .....	70
1.33 გაზზე მომუშავე სისტემის ექსპლუატაციაში გაშვება .....	70
1.34 დანადგარის ექსპლუატაციაში გაშვება (ჩართვა) .....	71
1.35 საცირკულაციო ტუმბო .....	72
1.36 კომპლექტები ხელმისაწვდომია მოთხოვნისამებრ .....	74
1.37 ძირითადი კომპონენტები .....	75
<b>2 გამოყენებისა და მოვლის ინსტრუქციები .....</b>	<b>76</b>
2.1 ზოგადი გაფრთხილებები .....	76
2.2 გასუფთავება და მოვლა .....	79
2.3 მართვის პანელი .....	80
2.4 მოწყობილობის გამოყენება .....	81
2.5 შეტყობინება ხარვეზებისა და ანომალიების შესახებ .....	83
2.6 საინფორმაციო მენიუ .....	87
2.7 მოწყობილობის გამორთვა .....	88
2.8 გამათბობელი სისტემის წნევის განახლება .....	88

2.9	წყლის გამაცხელებელი სისტემის დაცვა .....	88
2.10	ყინვის საწინააღმდეგო დაცვა .....	89
2.11	ხანგრძლივი უმოქმედობა.....	89
2.12	გარესაფარის განმენდა .....	89
2.13	მუდმივი დეაქტივაცია .....	89
<b>3</b>	<b>ინსტრუქციები საწყისი ტექნიკური მოვლა-დათვალიერებისათვის .....</b>	<b>90</b>
3.1	ზოგადი გაფრთხილებები .....	90
3.2	პირველადი გადამოწმება.....	91
3.3	მონყობილობის ყოველწლიური ტექნიკური მოვლა-დათვალიერება.....	92
3.4	ჰიდრავლიკური სქემა.....	94
3.5	ელექტროგაყვანილობის დიაგრამა .....	95
3.6	სავარაუდო პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები .....	96
3.7	მონყობილობის კონვერტაცია გაზის შეცვლის შემთხვევაში.....	97
3.8	ვენტილატორის ბრუნვის რაოდენობის კალიბრაცია .....	98
3.9	CO <sub>2</sub> /O <sub>2</sub> რეგულაცია .....	99
3.10	გაზის კონვერტაციის შემდეგ განსახორციელებელი შემოწმება.....	101
3.11	ელექტრონული დაფის პროგრამირება .....	101
3.12	სპეციალური პაროლით დაცული ფუნქციები .....	107
3.13	გამათბობელი .....	108
3.14	ავტომატური ვენტილაციის ფუნქცია (DI) .....	109
3.15	კვამლგამტარის ფუნქციონირება (FU) .....	109
3.16	ტექნიკური ფუნქცია (MA) .....	109
3.17	საკვამურის წმენდა.....	110
3.18	ტუმბოს ბლოკის მოხსნა .....	110
3.19	სამმხრივი ანტი-ბლოკი .....	110
3.20	რადიატორის ანტიფრიზის ფუნქცია.....	110
3.21	გარსაცმის დემონაჟი .....	111
3.22	კოლექტორის საიზოლაციო პანელის შეცვლა .....	114
3.23	კონდენსაციის მოდულზე კოლექტორის შუასადებების დამონტაჟება .....	118
3.24	კოლექტორის დამონტაჟება კონდენსაციის მოდულზე .....	120
<b>4</b>	<b>ტექნიკური მონაცემები.....</b>	<b>121</b>
4.1	ცვლადი სითბოს გამომუშავება .....	121
4.2	წვის პარამეტრები .....	123
4.3	ტექნიკური მონაცემების ფირფიტა .....	124
4.4	მონაცემთა ფირფიტა.....	125
4.5	მონტაჟის საინფორმაციო სტიკერი .....	125
4.6	ტექნიკური პარამეტრები შერეული ტიპის ქვაბებისთვის (813/2013 რეგულაციასთან შესაბამისობაში) ...	126
4.7	პროდუქტის მახასიათებლების ფურცელი (811/2013 რეგულაციების შესაბამისად) .....	128
4.8	ერთობლივი სპეციფიკაციების ფურცლის შევსები პარამეტრები .....	130

## ძვირფასო მომხმარებელი

ნებისმიერი ჩარევისა და მოწყობილობის ტექნიკური მოვლა -დათვალიერების სამუშაოების განხორციელებისათვის მიმართეთ ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრს, ვინაიდან მათთვის ორიგინალური სათადარიგო კომპონენტების მიწოდებასა და პერსონალის კვალიფიციურ მომზადებაზე თვით მწარმოებელი კომპანია ბრუნავს.

გილოცავთ Immergas-ის მაღალი ხარისხის პროდუქციის არჩევას, მას შეუძლია უზრუნველყოს თქვენი კეთილდღეობა და უსაფრთხოება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. როგორც Immergas-ის მომხმარებელს, ყოველთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ კვალიფიციური ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრის მომსახურებით, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური გადამზადება იმისათვის, რომ უზრუნველყოს თქვენი პროდუქციის მუდმივი ეფექტურობა. ყურადღებით წაიკითხეთ შემდეგი გვერდები მოწყობილობის სწორად გამოყენების შესახებ, აქ განთავსებული მითითებების ზედმინევით შესრულება, უკმაყოფილოს არ დაგტოვებთ Immergas-ის ნაწარმის გამოყენებით.

ნებისმიერი ჩარევისა და მოწყობილობის ტექნიკური მოვლა -დათვალიერების სამუშაოების განხორციელებისათვის მიმართეთ ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრს, ვინაიდან მათთვის ორიგინალური სათადარიგო კომპონენტების მიწოდებასა და პერსონალის კვალიფიციურ მომზადებაზე თვით მწარმოებელი კომპანია ბრუნავს.

---

საწარმო **IMMERGAS შ.პ.ს.**, სათაო ოფისით მისამართზე: via Cisa Figure 95 42041 Brescello (RE), აცხადებს, რომ პროდუქტის დაგეგმის, წარმოების და გაყიდვის შემდგომი მომსახურების პროცესი **UNI EN ISO 9001:2015**.სტანდარტების მოთხოვნებს შეესაბამება.

პროდუქტის CE მარკირების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გაგზავნეთ მოთხოვნა შესაბამისობის დეკლარაციის ასლის მისაღებად, სადაც მითითებულია მოწყობილობის მოდელი და ქვეყნის ენა.

მწარმოებელი პასუხისმგებელი არაა ბეჭდვის ან ტრანსკრიფციის შეცდომებზე და უფლებას იტოვებს, შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილება თავის ტექნიკურ და კომერციულ პროექტებში ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე.



## ზოგადი გაფრთხილებები

აღნიშნული მომხმარებლის სახელმძღვანელო შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომლის მიზანია: **ინსტალირების** ტექნიკოსი (სექცია 1); **მომხმარებელი** (ნაწილი 2); **ტექნიკოსი** (ნაწილი 3).

- მომხმარებელი გულდასმით უნდა გაეცნოს შესაბამის ნაწილში, მისთვის განკუთვნილ ინსტრუქციებს (ნაწ. 2).
- მომხმარებელმა განადგარზე უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ ტიპის ჩრევეები, რაც ნებადართულია სპეციალურ განყოფილებაში .
- ინსტრუქციის სახელმძღვანელო პროდუქტის განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია უნდა მიენოდოს მომხმარებელს, ხოლო დანადგარის გასხვისების შემთხვევაში, გადაეცეს მის ახალ მფლობელს .
- შეინახეთ ადაცულ ადგილას და ნაიკითხეთ და გაითვალისწინეთ იქ მოცემული გაფრთხილებები და მითითებები, რადგან ისინი შეიცავენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ინსტალაციის გამოყენებისა და ტექნიკური მოვლა-დათვალისწინების ოპერაციების უსაფრთხოდ განხორციელების შესახებ.
- მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სისტემები უნდა იყოს დამონტაჟებული კვალიფიციური პროფესიონალების მიერ, კანონით დადგენილი ნორმების და მითითებების შესაბამისად. ინსტალაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, მწარმოებლის ინსტრუქციების გათვალისწინებით და კვალიფიციური, პროფესიონალი პერსონალის მიერ, რაც გულისხმობს ტექნიკურ სექტორში სპეციფიკური კომპეტენციის მქონე პირებს, როგორც ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობით მოითხოვება.
- Immergas-ის დანადგარის ან/და მისი კომპონენტების, აქსესუარების, კომპლექტებისა და მონყობილობების არასწორმა ინსტალაციამ ან მონტაჟმა შეიძლება გაუთვალისწინებელი ზიანი მიაყენოს როგორც ადამიანებს, ასევე ცხოველებსა და ნივთებს. ყურადღებით გაეცანით მონყობილობაზე თანდართულ მითითებებსა და მისი სწორი დამონტაჟების წესებს.
- მოცემული ინსტრუქციების სახელმძღვანელო შეიცავს ტექნიკურ ინფორმაციას Immergas-ის პროდუქტების დამონტაჟებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება პროდუქციის დამონტაჟებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, (მაგალითად: სამუშაო გარემოს უსაფრთხოება, გარემოს დაცვა, საწარმოო უბედური შემთხვევების პრევენცია), აუცილებელია მოქმედი კანონმდებლობის ნორმატივებისა და ეფექტური პრაქტიკული პრინციპების დაცვა.
- Immergas-ის ყველა პროდუქტი დაცულია სათანადო სატრანსპორტო შეფუთვით.
- მასალა უნდა ინახებოდეს მშრალ გარემოში და დაცული იყოს ცუდი უამინდობისგან.
- დაზიანებული კომპონენტები არ უნდა დამონტაჟდეს.
- ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს კვალიფიციური ტექნიკური პერსონალის მიერ, როგორცაა, მაგალითად, ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრი, რომელიც ამ თვალსაზრისით წარმოადგენს კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის გარანტს.
- მონყობილობა უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნულებისამებრ. ნებისმიერი სხვა გამოყენება არა მართებული და შესაბამისად, პოტენციურად სახიფათოა.
- მწარმოებელი პასუხისმგებლობას არ იღებს დანადგარის ინსტალაციის, ექსპლუატაციის ან ტექნიკური მოვლის დროს დაშვებული შეცდომის, ასევე მოქმედი ტექნიკური კანონმდებლობის, მოცემულ სახელმძღვანელოში (ან სხვა, მწარმოებლის მიერ მოწოდებული) წესებისა და ინსტრუქციების გაუთვალისწინებლობის გამო გამოწვეული ზიანის გამო, უფრო მეტიც, აღნიშნული დარღვევები გამოიწვევს მწარმოებლის მხრიდან კონტრაქტით აღებული გარანტიებისა და დანადგარის გარანტიის პირობების ბათილად ცნობას.
- გაუმართაობის, ავარიის ან არასრულყოფილი მუშაობის შემთხვევაში, გამაცხელებელი სისტემა უნდა გამორთოთ და გამოიძახოთ კვალიფიციური კომპანია (მაგალითად, ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრი, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ტექნიკური მომზადება და აღჭურვილია ორიგინალური სათადარიგო ნაწილებით). თავი შეიკავეთ ნებისმიერი თვითნებური ჩარევისა და შეკეთების მცდელობისგან.

## გამოყენებული უსაფრთხოების სიმბოლოები



### ზოგადი საფრთხე

ყურადღებით დააკვირდით პიქტოგრამის გვერდით განთავსებულ ყველა მითითებას. მითითებების შეუსრულებლობამ შეიძლება წარმოქმნას სარისკო სიტუაციები, რაც შეიძლება აისახოს მძიმე დაზიანებებში როგორც ოპერატორის, ისე ზოგადად მომხმარებლის ჯანმრთელობაზე და/ან მნიშვნელოვან მატერიალური ზიანზე.



### ელექტრო საფრთხე

ყურადღებით დააკვირდით პიქტოგრამის გვერდით განთავსებულ ყველა მითითებას. სიმბოლო მიუთითებს მონყობილობის ელექტრულ კომპონენტებზე ან, მოცემულ სახელმძღვანელოში, განსაზღვრავს მოქმედებებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ელექტრო საფრთხეებთან დაკავშირებული რისკები.



### საფრთხის შემცველი მოძრავი ნაწილების

სიმბოლო მიანიშნებს, რომ დანადგარში არის მოძრავი კომპონენტები, რომლებიც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს.



### საფრთხე ცხელი ზედაპირი

სიმბოლო მიუთითებს მონყობილობის კომპონენტების ზედაპირის მაღალ ტემპერატურაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობის საფრთხე.



### გაფრთხილებები

ყურადღებით დააკვირდით პიქტოგრამის გვერდით განთავსებულ ყველა მითითებას. მითითებების შეუსრულებლობამ შეიძლება წარმოქმნას სარისკო სიტუაციები, რაც შეიძლება აისახოს მსუბუქ დაზიანებებში როგორც ოპერატორის, ისე ზოგადად მომხმარებლის ჯანმრთელობაზე და/ან მცირე მატერიალური ზიანზე.



### ყურადღება

ნებისმიერი ოპერაციის განხორციელებამდე დაკვირვებით წაიკითხეთ მონყობილობის ინსტრუქციები, მკაცრად დაიცავით მოცემული ინსტრუქციები. ინსტრუქციით გათვალისწინებული მითითებების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მონყობილობის გაუმართაობა.



### ინფორმაცია

მიუთითებს სასარგებლო რჩევებს ან დამატებით ინფორმაციას.



### მასობრივი კავშირი

სიმბოლო მიუთითებს მონყობილობის დამინების წერტილებზე.



### გაფრთხილება მონყობილობის განადგურების შესახებ

მომხმარებელი ვალდებულია არ გადაადგოს მონყობილობა, მისი გამოყენების ვადის ბოლოს, როგორც ურბანული ნარჩენი, არამედ მიანოდოს იგი სპეციალურ შემგროვებელ ცენტრებს.

## ინდივიდუალური დამცავი მონყობილობები



დამცავი ხელთათმანები



თვალის დაცვა



დამცავი ფეხსაცმელი

# 1 მონყობილობის მონტაჟი

## 1.1 გაფრთხილებები ინსტალაციის შესახებ



ოპერატორები, რომლებიც ახორციელებენ მონყობილობის მონტაჟს და ტექნიკურ მოვლას, ალტურვილ უნდა იყვნენ ყველა იმ პერსონალური დამცავი საშუალებებით, რასაც ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს.



ეს მონყობილობა შექმნილია მხოლოდ და მხოლოდ კედელზე დასამონტაჟებლად, გათბობისთვის (და ცხელი წყლის წარმოებისთვის საყოფაცხოვრებო და მსგავსი გამოყენებისთვის, თუ ჩვენებულია საცავი ავბი).



მონყობილობის და მასთან დაკავშირებული Immergas-ის აქსესუარების დაყენების ადგილს უნდა გააჩნდეს შესაბამისი მახასიათებლები (ტექნიკური და სტრუქტურული), რომელიც იძლევა საშუალებას, რომ (უსაფრთხოდ, მარტივად და ეფექტურად):

- მონტაჟი (შესაბამისი ტექნიკური კანონმდებლობისა და არსებული ტექნიკური ნორმების გათვალისწინებით);
- ტექნიკური სამუშაოები (მათ შორის გვემიური, პერიოდული, ორდინალური, საგანგებო);
- დანადგარების დემონტაჟი (ადგილზე მისვლით, მონყობილობისა და მისი კომპონენტების დატვირთვიდა და ტრანსპორტირების ჩთვლით), ასევე მათი შესაძლო ჩანაცვლება ექვივალენტი მონყობილობებით, ან მონყობილობის შემადგენელი ნაწილებით.



კედლის ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, არ უნდა ჰქონდეს ისეთი შვერილები ან ჩაღრმავებები, რომელიც არ იძლევა ქვედა მხრიდან მიახლოების საშუალებას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი დამონტაჟება საყრდენებზე ან იატაკზე (ნახ.1).



ინსტალაციის ტიპის მიხედვით იცვლება აგრეთვე მონყობილობის კლასიფიკაცია, კერძოდ:

- **B<sub>23</sub> ან B<sub>53</sub>** ტიპის მონყობილობა თუ დამონტაჟებულია იმგვარად, რომ ჰაერის ნაკადის შენოვა ხორციელდება პირდაპირ ინსტალაციის ადგილიდან, სპეციალური ტერმინალის გამოყენებით.
- **C ტიპის მონყობილობა**, იმ შემთხვევაში, თუ ის დაინსტალირებულია კონცენტრული ან სხვა ტიპის მილების გამოყენებითა, რომლებიც გამოიყენება დალუქული წვის კამერიან მონყობილობებზე შემწოვი ან კვამლგამწოვი სისტემებისთვის.




მონყობილობის კლასიფიკაცია მითითებულია ინსტალაციის სხვადასხვა ტიპის გადანყვებილების საილუსტრაციო ნახატებზე, რომლებიც ნაჩვენებია შემდეგ გვერდებზე.



გაზის მონყობილობების დაყენების უფლება აქვს მხოლოდ პროფესიონალ, მსგავსი ტიპის სამუშაოების განხორციელების ლიცენზიის მქონე კომპანიას Immergas.



ინსტალაცია უნდა განხორციელდეს სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და ადგილობრივი ტექნიკური რეგლამენტის, ასევე ეფექტური პრაქტიკული მითითების გათვალისწინებით.



1



დაუშვებელია მოხმარებიდან ამოღებული და სხვა სისტემებიდან ჩამოხსნილი დანადგარების გამოყენება. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი სხვა სისტემების მონყობილობების გამოყენებით გამოწვეულ ზიანზე ან ასეთი მონყობილობების შეუსაბამობაზე.



შემონმეთ ინსტალაციისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვანი ნაწილის სამუშაო გარემო პირობები, ისარგებლეთ ამ სახელმძღვანელოს ტექნიკური მონაცემების ცხრილში მოცემული პარამეტრებით.



**LPG-ის ან პროპანის ჰაერის მიწოდების შემთხვევაში, მონყობილობის დამონტაჟებისას უნდა გავითვალისწინოთ და დავიცვათ წესები ჰაერზე მეტი სიმკვრივის მქონე გაზების შესახებ (ერთ-ერთი ასეთი წესია, მაგალითად ის, რომ აკრძალულია ზემოაღნიშნული გაზებზე მომუშავე სისტემების დაყენება ოთხებში, რომლის იატაკიც მიწის დონეზე დაბლა მდებარეობს).**



ნაკრების დამონტაჟების ან მონყობილობის ტექნიკური დათვალეერების შემთხვევაში, ყოველთვის დაცალეთ სისტემის წრედი, რათა უზრუნველყოთ დანადგარის ელექტრონული უსაფრთხოება (პარაგ.2.9).  
ყოველთვის გამოაერთეთ დანადგარი კვების წყაროდან და, მუშობის ტიპის მიხედვით, დაუნიეთ წნევა და/ან ნულამდე დაიყვანეთ გაზისა და სანიტარულ სისტემებში (თუ სისტემაში ჩამონტაჟებულია საცავი ავზი).



მონყობილობის დამონტაჟებამდე, დარწმუნდით რომ მასზე დაზიანებები არ აღინიშნება; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით მიმწოდებელს.  
შესაფუთი მასალა (კავეები, ლურსმნები, ცელოფანის პარკები, გაფართოებული პოლისტირონი და ა.შ.) საფრთხის თვიდან აცილების მიზნით, უნდა მოთვსდეს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.  
თუ მონყობილობა მოთავსებულია ავეჯს შიგნით ან ავეჯს შორის, უნდა იყოს საკმარისი ადგილი მისი ნორმალური მოვლისთვის; ამისათვის სასურველია მინიმუმ 3 სმ სივრცის დატოვება ქვაბის გარსაცმსა და მის ახლო მდებარე ავეჯის ვერტიკალურ გვერდებს შორის. ქვაბის ზემოთ და ქვემოთ უნდა იქნას დატოვებული სათანადო სივრცე სანტექნიკურ კავშირებსა და კვამლსადინარ სისტემაზე სავარაუდო სამუშაოების შესრულების შესაძლებლობის მიზნით (ნახ. 3).



**ასევე მნიშვნელოვანია, რომ არ იყოს დაბლოკილი შემშვები გისოსები და გამოსაბოლქვი.**



**უნდა შემონმდეს ჰაერი სინჯის კონტეინერების საშუალებით, რათა ადგილი არ ჰქონდეს კვამლის რეცირკულაციას (CO<sub>2</sub>-ს მაქს. დასაშვები დონე 0,5%).**





მინიმალური მანძილი ცეცხლსაშიშ ნივთებსა და კვამლგამწვ მილებს შორის უნდა იყოს, სულ მცირე, 25.



არ განათავსოთ მონწყობილობასთან ახლოს ცეცხლსაშიშ ნივთები (ქაღალდი, ქსოვილის ნაჭრები, პლასტმასი, პოლისტირონი და ა.შ.).



გაყოფილი გამოსაბოლქვი არხები არ უნდა გადიოდეს ცეცხლსაშიშ მასალისგან ნაგებ კედლებში.



არ მოათავსოთ ელექტრომონწყობილობა დანადგარის ქვეშ, რადგან ისინი შეიძლება დაზიანდეს დამცავი სარქველზე, გამწვ სიფონზე პრობლემების ან ჰიდრაულიკური შეერთებებიდან გაჟონვის შემთხვევაში; ნინალმდეგ შემთხვევაში, მწარმოებელი არ იღებს პასუხისმგებლობას მონწყობილობებისთვის მიყენებულ რაიმე ზიანზე.



ასევე რეკომენდირებულია, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, არ მოათავსოთ ავეჯეულობა და ა.შ. მონწყობილობის ქვეშ.



გაუმართაობის, ავარიის ან არასრულყოფილი მუშაობის შემთხვევაში, გამაცხელებელი სისტემა უნდა გამორთოთ და გამოიძახოთ კვალიფიციური კომპანია (მაგალითად, ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრი, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ტექნიკური მომზადება და აღჭურვილია ორიგინალური სათადარიგო ნაწილებით). თავი შეიკავეთ ნებისმიერი თვითნებური ჩარევისა და შეკეთების მცდელობისგან.



აკრძალულია მონწყობილობის ნებისმიერი ცვლილება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული სახელმძღვანელოს ამ ნაწილში.

ინსტალაციის ნორმები



ამ ტიპის ინსტალაცია შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მონყობილობის დანიშნულების ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა ამის საშუალებას იძლევა.



ეს დანადგარი შეიძლება დამონტაჟდეს გარეთ, ნაწილობრივ დახურულ სივრცეში. ნაწილობრივ დახურულ ადგილას იგულისხმება ადგილი, სადაც გამათბობელი მონყობილობა დაცულია ატმოსფერული ნალექების (წვიმა, თოვლი, სეტყვა და ა.შ.) პირდაპირი, მავნე ზემოქმედებისგან.



**აკრძალულია გაზის მონყობილობების, გამოსაბოლქვი არხების და წვის ჰაერის გამწოვი მილების დაყენება ხანძარსაშიშ ოთახებში (მაგალითად: ავტოფარეხები, ბოქსები) და პოტენციურად სახიფათო ოთახებში.**



**არ დააინსტალიროთ გაზქურის ზედაპირთან ვერტიკალურ მდგომარეობაში (UNI 7129 ტიპის 35 კვტ-მდე დანადგარების შემთხვევაში).**



**არ დაამონტაჟოთ საერთო საცოვრებლის საერთო სარგებლობის სივრცეებში, მაგალითად სადარბაზოშიან სხვა ისეთ ადგილას, რომელიც უსაფრთხოების გასასვლელის პერიმეტრში მდებარეობს (მაგ., მინისზედა სართული, დერეფანი).**



**არ შეიძლება მონყობილობების აალებალი მასალისგან აგებულ ლედელზე დამონტაჟება სათნადო საიზოლაციო დამცავი საშუალების გარეშე.**



**აკრძალულია საერთო საცხოვრებლების საერთო სარგებლობის სივრცეებში დამონტაჟება სარდაფებში, დერეფნებში, სხვენებში და ა.შ. თუ ეს მოქმედი ტექნიკური კანონმდებლობით იკრძალება.**



ეს მოწყობილობები გამოიყენება წყლის გასათბობად ატმოსფერულ წნევაზე დუდილის ტემპერატურაზე დაბალ ტემპერატურაზე.



დაკავშირებული უნდა იყვნენ გათბობის სისტემასთან და სანიტარიულ წყალგამანაწილებელ ქსელთან (თუ სისტემაში ჩაშენებულია საცავი ავზი), მათი მუშაობისა და სიმძლავრის გათვალისწინებით.



საცავი ავზი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უნდა დამონტაჟდეს ისეთ გარემოში, სადაც ტემპერატურა არ შეიძლება დავიდეს 0 ° C-ზე დაბლა.



ჩაღრმავებული ჩარჩოს ნაკრები კედელზე იმგვარად უნდა იქნას დამონტაჟებული, რომ დანადგარი მასზე მყარად იქნას დამაგრებული.

ჩაღრმავებული ჩარჩოს ნაკრები უზრუნველყოფს ადექვატურ მხარდაჭერას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩასმულია სწორად (ეფექტური პრაქტიკული წესების მიხედვით), ინსტრუქციის ფურცელზე მითითებების შესაბამისად.

უსაფრთხოებისა და რაიემ სახის დისპერიისგან თავის დასაცავად, აუცილებელია შეერთებების ნაკვეთურის ჩაცემენტება კედელში.

დანადგარის დასამონტაჟებელი ჩაღრმავებული ჩარჩო არ არის მზიდი კონსტრუქცია და ის ვერ შეცვლის კედლის ფუნქციას, ამიტომ მნიშვნელოვანია მისი პოზიციის შემოწმება კედლის შიდა მხარეს.

მოწყობილობასთან ერთად მიწოდებული ჩამრთველები (მიეწოდება სტანდარტულად) გამოყენებულ უნდა იყოს ექსკლუზიურად მოწყობილობის კედელზე დასამაგრებლად; ადეკვატური ფუნქციონირების გარანტირების მიზნით, საჭიროა მათი სწორად დაინსტალირება (კარგი პრაქტიკის წესების გათვალისწინებით) მყარი ან ნახევრად მყარი აგურით ნაგებ კედლებზე. აგურით ან ღრუ ბლოკებით აგებული კედლების, დაბალი მედეგობის ტიხრების ან სხვა სამშენებლო მასალით აგებული კედლების შემთხვევაში, აუცილებელია საყრდენი სისტემის მდგრადობის წინასწარ შემოწმება. მოწყობილობები იმგვარად უნდა დამონტაჟდეს, რომ თავიდან იქნას აცილებული შეჯახების ან მათი დაზიანების რისკი.



**სისტემის კედელზე ინსტალაცია უზრუნველყოფს ასევე სტაბილურ და ეფექტურ საყრდენს თავად გენერატორისთვის.**

**არაადეკვატური წვის ჰაერისა და გარემო პირობების მიზეზით, შესაძლოა შეიქმნას სისიტემის კომპონენტების კოროზიის საფრთხე.**



სპრეი, გამხსნელები, ქლორზე დაფუძნებული გამწმენდები, საღებავები, ნებოები, ამიაკის ნაერთები, ფხვნილები და სხვა მსგავსი საშუალებები შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტის და გამოსაბოლქვი აირების სადინარის კოროზია.



შეამოწმეთ, რომ წვის ჰაერი დაბინძურებული არ იყოს ქლორის, გოგირდის, მტვრის და ა.შ. ნაწილაკებით.



არ შეიძლება ქიმიური ნივთიერებების შენახვა ინსტალაციის ადგილზე.



თუ გსურთ პროდუქტის დაყენება სილამაზის სალონებში, საღებავების მაღაზიებში, სადურგლოებში, დასუფთავების კომპანიებში ან მსგავს სივრცეებში, სამონტაჟოდ აირჩიეთ ცალკე ოთახი, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო, ქიმიკატებისგან თვისუფალი გარე წვის ჰაერის მიწოდება.



დარწმუნდით, რომ წვის ჰაერის მიწოდება არ ხდება იმ ბუხრებისა და საკვამურების გავლით, რომლებით ადრე თხევად ან მყარ საწვავზე მომუშავე ბოილერების ან სხვა ტიპის გამათბობლებისათვის გამოიყენებოდა. მართლაც, ამ უკანასკნელმა შესაძლოა გამოიწვიოს საკვამურში ჭვარტლის დაგროვება

**მატერიალური ზიანის საფრთხე, რომელიც გაუონვის გამოსავლენად გამოყენებული სპრეით და სითხეებით შეიძლება იქნას გამოწვეული**

**გაზის სარქველი PX42**



გაუონვის საწინააღმდეგო სპრეებისა და სითხეების გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს P1 მითითებული ხვრელის დაბლოკვა. იხ. (ნახ. 60) გაზის სარქველის, და მისი გამოუსწორებლად დაზიანება. ინსტალაციისა და სარემონტო სამუშაოების დროს არ შეასხუროთ სპრეი ან სითხეები გაზის სარქველის ზედა ზონაში (ელექტრული კავშირების ნაკვეთური).

**SIT 848 აირის სარქველი**



გაუონვის სპრეები და სითხეები ჭედავენ სავენტილაციო ხვრელებს (ნომერი 4 და 7 ნახ. 61) გაზის სარქველის, და მისი გამოუსწორებლად დაზიანება. ინსტალაციისა და სარემონტო სამუშაოების დროს არ შეასხუროთ სპრეი ან სითხეები გაზის სარქველის ზედა ზონაში (ელექტრული კავშირების ნაკვეთური).



Immergas-ის საცავი ავზის „ანტილეგიონელაზე“ თერმული დამუშავება (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემაში ჩაშენებულია საცავი ავზი და თუ გააქტიურება შესაძლებელია წინასწარ დაყენებული თერმორეგულაციის სისტემებზე არსებული სპეციალური ფუნქციის საშუალებით). ამ ფაზაში წყლის ტემპერატურა აკუმულაციის შიგნით აღემატება 60 ° C-ს, შესაბამისად, შეიცავს დამწვრობის მიყენების რისკს. გააკონტროლეთ სანიტარული წყლის დამუშავების პროცესის უსაფრთხოება (და შეატყობინეთ მომხმარებლებს), რათა თავიდან იქნას აცილებული ადამიანების, ცხოველებისა და ნივთებზე მიყენებული გაუთვალისწინებელი ზიანი. საჭიროების შემთხვევაში, თერმოსტატული სარქველი შეიძლება დამონტაჟდეს საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის გამოსასვლელში, დამწვრობის თავიდან ასაცილებლად.



მონყობილობის პირველი ჩართვისას, კონდენსატის მილსადენიდან გამოიღვენება წვის პროდუქტები, დარწმუნდით, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ წვის ორთქლი აღრ გამოდინდება კონდენსატის გამწოვიდან, თუ ეს ასეა, ნიშნავს, რომ სიფონი შეივსო კონდენსატის სათანადო სიმაღლეზე და აღრიძლევთ კვამლის გავლის საშუალებას.

სპეციალური მითითებები B<sub>23</sub> ან B<sub>53</sub> კონფიგურაციით დაინსტალირებული დანადგარების შემთხვევაში.



B<sub>23</sub> და B<sub>53</sub> ტიპის ღია კამერიანი დანადგარების დამონტაჟება დაუშვებელია კომერციული, სახელოსნო ან სამრეწველო საქმიანობისთვის განკუთვნილ ისეთ სივრცეებში, სადაც წარმოიქმნება ორთქლი ან მტვერი (მაგ. ხის დამუშავების შედეგად მიღებული მტვერი, ქვანახშირის მტვერი, ცემენტის მტვერი და ა.შ.) ან გამოიყენება აქროლადი ნივთიერებები (მაგ. მჟავების ორთქლი, წებო, საღებავები, გამხსნელები, სანვაჟი და ა.შ.), რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ მონყობილობის დაზიანება და მისი გამართული მუშაობის შეფერხება.



კონფიგურაციაში B<sub>23</sub> და B<sub>53</sub>, გარდა მოქმედი ადგილობრივი რეგულაციებისა, მონყობილობები არ უნდა დამონტაჟდეს საძინებლებში, აბაზანაში, ტუალეტში ან სამუშაო კაბინეტში; უფრო მეტიც, ისინი არ უნდა დამონტაჟდეს ოთახებში, სადაც მყარი სანვაჟზე მომუშავე სითბოს გენერატორებია და არც მათთან დაკავშირებულ ოთახებში.



საყოფაცხოვრებო გამოყენებისათვის განკუთვნილი B<sub>23</sub> და B<sub>53</sub> კონფიგურაციის მონყობილობების (35 kW-მდე სიმძლავრის) დასამონტაჟებელი სივრცე უნდა იყოს მუდმივად ვენტილირებადი, მოქმედი ადგილობრივი წესების გათვალისწინებით (მინიმუმ 6 სმ<sup>2</sup> დამონტაჟებული თერმული სიმძლავრის ყოველ kW-ზე, ექვემდებარება მატებას იმ შემთხვევაში, თუ ინსტალაციისთვის განკუთვნილი სივრცე შეზღუდულია უკვე არსებული ელექტრომექანიკური ასპირატორებით ან სხვა ტიპის მონყობილობებით).



B<sub>23</sub> და B<sub>53</sub> კონფიგურაციის სისტემები განკუთვნილია არასაცხოვრებელ და მუდმივად ვენტილირებადი სივრცეებში დასამონტაჟებლად.



სემოაღნიშნულის შეუსრულებლობა გამოიწვევს პერსონალის პასუხისმგებლობისა და გარანტიის პირობების გაბათილებას.


ტექნიკური მემონტაჟი

მომხმარებელი

ტექნიკოსი

ტექნიკური მონაცემები

## 1.2 ძირითადი ზომები




პირობ. აღნიშვნა (ნახ. 2):

- SC - კონდენსატის გამწოვი (მინიმალური შიდა დიამეტრი  $\varnothing 13$  მმ)
- V - ელექტრონული კავშირი
- G - გაზით მომარაგება
- RR - სისტემის შევსება
- RU - საცავი ავზში შემავალი სადინარი
- MU - საცავი ავზის მომარაგება
- R - სისტემის დაბრუნება
- M - სისტემის კვების წყარო

სიმაღლე (მმ)		სიგრძე (მმ)	სიღრმე (მმ)
748		440	253
შეერთების წერტილები			
დანადგარი		გაზი	სანიტარული წყალი
MU-RU	M-R	G	RR
3/4"	3/4"	3/4"	1/2"


### 1.3 ინსტალაციის მინიმალური მანძილი



გასაღები (ნახ. 3):

- A - 450 მმ
- B - 350 მმ
- C - 30 მმ
- D - 30 მმ
- E - 350 მმ

### 1.4 მონაცემთა დაფის განლაგება



**i** მონაცემთა სახელწოდების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პარაგ. 4.4 ტექნიკური მონაცემების განყოფილებაში.

### 1.5 ყინვის საწინააღმდეგო დაცვა

მონყობილობის გაყინვისგან დაცვა უზრუნველყოფილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- მონყობილობა სწორად არის დაკავშირებული გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდების სისტემებთან;
- მონყობილობა მუდმივად კვების წყაროზეა მიერთებული;
- მონყობილობა არ არის "off" რეჟიმში.
- ადგილი არა აქვს მონყობილობის გაუმართაობას (პარაგ. 2.5);
- მონყობილობის ძირითადი კომპონენტები არ არის დაზიანებული.

#### გაყინვის რისკის თავიდან ასაცილებლად, მიჰყევით შემდეგ ინსტრუქციას:

- გამათბობელი სისტემის გაყინვისგან დასაცავად, გამოიყენეთ ვარგი ხარისხის სპეციალური ანტიფრიზის სითხე, რომელიც მსგავსი სისტემებისთვისაა შექმნილი და გააჩნია მწარმოებლის გარანტია, მასზედ რომ არ დააზიანებს გადამცვლელსა და მონყობილობის სხვა კომპონენტებს. ანტიფრიზის სითხე არ უნდა იყოს საზიანო ჯანმრთელობისთვის. აუცილებელია მკაცრად იქნას დაცული ანტიფრიზის სითხის მწარმოებლის მითითებები რაც შეეხება პროცენტული რაოდენობის შეფარდებას სისტემის სასურველ მინიმალურ ტემპერატურასთან.
- Immergas-ის მონყობილობების გათბობის სისტემის დასამზადებლად გამოყენებული მასალა რეზიზტენტულია პროპილენგლიკოლებზე დამზადებული ანტიფრიზის სითხეების მიმართ (თუ საქმე ეხება მაღალი ხარისხის ნარევის).
- უნდა მომზადდეს წყალხსნარი წყლის დაბინძურების პოტენციური კლასის 2 (EN 1717: 2002) საფუძველზე ან მოქმედი ადგილობრივი რეგულაციების გათვალისწინებით.



**ანტიფრიზის სითხის ხანგრძლივობისა და მისი ნარჩენების სავარაუდო გადამუშავების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ მომწოდებლის მითითებები.**



საცავ ავზში (თუ ჩაშენებულია) არსებული წყალი, როდესაც დანადგარი გამორთულია, არ არის დაცული გაყინვისგან.



ამ თავში აღწერილი ყინვისგან დამცავი სისტემები შეეხება მხოლოდ გამათბობელი მონყობილობას; ამ დამცავი ფუნქციებისა და სისტემების არსებობა არ გამოორიცხავს სისტემის ნაწილების ან მონყობილობის გარე სანიტარული წრედის (თუ სისტემაში ჩაშენებულია საცავი ავზი) გაყინვის შესაძლებლობას.



გლიკოლის გადაჭარბებულმა გამოყენებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მონყობილობის გამართულ მუშაობას.



### მინიმალური გარემო ტემპერატურა -5°C

დაუცველი მილებისა და ფიტინგების იზოლაცია 10 მმ სისქის საიზოლაციო მასალით (შემაჯავალი ცივი წლის მილი, გამაჯავალი ცხელი წყლის მილი და კონდენსატის გადინების მილი).

მოქნობილობა აღჭურვილია გაყინვის საწინააღმდეგო სტანდარტული ფუნქციით, რომელიც განაპირობებს ტუმბოსა და სანთურის გააქტიურებას, იმ შემთხვევაში, თუ სისიტემის შიგნით წყლის ტემპერატურა 4°C-ზე დაბლა დაეცემა.



ზემოთ ჩამოთვლილ პირობებში, მონყობილობა დაცულია გაყინვისგან -5° C- მდე გარემოს ტემპერატურამდე.



იმ შემთხვევაში, თუ მონყობილობა დამონტაჟებულია ისეთ ადგილად, სადაც ტემპერატურა შესაძლოა -5°C-ზე ქვემოთ დაეცეს, შესაძლოა შეიქმნას სისტემის გაყინვის საფრთხე.



მონყობილობის ისეთ ადგილებში დამონტაჟების შემთხვევაში, სადაც ტემპერატურა მცირდება -5°C-ზე დაბლა ეცემა, აუცილებელია ანტიფრიზის ნაკრების დამონტაჟება, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობის დაცვით.

### მინიმალური გარემო ტემპერატურა -15°C

DHW საყოფაცხოვრებო წყლის წარმოების სისტემის (თუ ჩაშენებულია საცავი ავზი) დაცვა გაყინვისგან ანტიფრიზის კომპლექტით, რომელიც მიეწოდება მოთხოვნის შემთხვევაში და შედგება ელექტრული წინააღობის, სათანადო დმაკავშირებელი გაყვანილობისა და საკონტროლო თერმოსტატისგან (ყურადღებით წაიკითხეთ აქსესუარების ნაკრების პაკეტში მოთავსებული მონტაჟის ინსტრუქციები).

ეფექტიანობის მიზნით, საგარანტიო პირობებიდან გამოირიცხება ელექტროენერჯის მიწოდების შეფერხებით მიყენებული, ასევე ზემოთ მოხსენიებული პირობების დაუცველობით გამოწვეული ზიანი.



ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებითა და ანტიფრიზის ნაკრებით, მონყობილობა დაცული იქნება გაყინვისგან -15°C-ტემპერატურამდე პირობებში.

## 1.6 ჩაღრმავებული ჩარჩოში დამონტაჟება (არასავალდებულო)




აპარატი უნდა დამონტაჟდეს Immergas - ის ჩაღრმავებულ ჩარჩოში (მიენოდება სურვილისამებრ).

ამ ტიპის ინსტალაციისთვის აუცილებელი ნაკრების (საყრდენები და სამაგრები) ცალკე უნდა იქნას შეძენილი, როგორც ფაკულტატიური კომპლექტი.

ინსტალაციისთვის აუცილებელია:


- დააინსტალირეთ სამაგრი (2) ჩაღრმავებულ ჩარჩოში, დააფიქსირეთ იგი ხრახნებით (3) სპეციალურ ფოსოებში (ნახ. 5).
- ვერტიკალურად დაამაგრეთ გამათბობელი (4) სპეციალურ ჩამოსაკიდ სამაგრზე (2) (ნახ.6).
- გააჩერეთ ქვაბი (4) უძრავ მდგომარეობაში (5), ჩასვით სამაგრები და დაუჭირეთ სათანადო ხრახნებით (6) (ნახ.7).

სამაგრები (5), რომელიც გამოიყენება მონწყობილობის ჩარჩოზე მყარად დასამაგრებლად, ისინი უძრავადაა დაჭერილი ჩარჩოზე (1), შესაბამისად, არ საჭროებენ ჩარჩოზე დამაგრებას.



## 1.7 ჯგუფი მონყობილობის საკავშირო სისტემა

მიერთებების ბლოკის ნაკრები, ყველა იმ საჭირო კომპონენტით, რაც აუცილებელია მონყობილობის ყველა სახის ჰიდრაულიკური შეერთებებისა და გაზის სისტემაზე მიერთებების განსახორციელებლად, მიწოდება სურვილისამებრ, მიერთებების ოპერაციები უნდა შესრულდეს ინსტალაციის ტიპისა და ილუსტრაციების გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია ნახაზზე 8:



მინიშნება (ნახ. 8):

- V - ელექტრონული კავშირი
  - G - გაზით მომარაგება
  - RU - საცავი ავზში შემავალი სადინარი
  - MU - საცავი ავზის მომარაგება
  - RR - სისტემის შევსება
  - SC - კონდენსატის გამწოვი (მინიმალური შიდა დიამეტრი  $\varnothing 13$  მმ)
  - M - სისტემის კვების წყარო
  - R - სისტემის დაბრუნება
- 
- 1 - სისტემის შევსების ონკანი
  - 2 - სისტემის დაცვის ონკანი
  - 3 - 3 ბარიანი უსაფრთხოების სარქველი
  - 4 - საცავი ავზის ბაიპასი, გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვაბი მუშაობს მხოლოდ ოთახის გათბობის რეჟიმში
  - 5 - ჰაერის გამწოვი სარქველის გამონადენი

### 1.8 გაზის შეერთება

ჩვენს მიერ დამზადებული დანადგარები ფუნქციონირებენ ბუნებრივ აირზე (G20), LPG-ზე და მეთანისა და წყალბადის 20%-მდე მოცულობის (20%H2NG) ნარევებზე. კვების წყაროსთან დამაკავშირებელი მილსადენის სიგრძე უნდა უტოლდებოდეს ან აღემატებოდეს მოწყობილობასთან დამაკავშირებელი მილის სიგრძეს.



გაზგაცვანილობასთან მიერთებამდის, აუცილებელია გულდასმით გაინმინდოს გაზის მიწოდების სისტემის ყველა სადინარი, გათავისუფლდეს შესაძლო ნარჩენებისგან, რათა ზიანი არ მიაყენოს მოწყობილობის გამართულ მუშობას.  
დარწმუნდით, რომ გაზის ტიპი შესაბამისობაშია მოწყობილობისთვის გათვალისწინებული გაზის ტიპთან (იხილეთ მოწყობილობაზე განთავსებული მონაცემთა ფირფიტა).  
თუ ამ სიმძლავრეებს შორის სხვაობაა, საჭიროა განხორციელდეს ჩარევა ქვების სხვა ტიპის გაზზე ადაპტაციის მიზნით (იხ. ტექნიკის კონვერტაცია გაზის შეცვლის შემთხვევაში).



**ასევე მნიშვნელოვანია შეამოწმოთ ქსელის დინამიური წნევა (მეთანი ან LPG), რომელიც გამოყენებული იქნება ქვების ენერჯის წყაროდ და რომელიც უნდა შეესაბამებოდეს EN 437 და შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სტანდარტებს, რადგან არასაკმარისმა წნევამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს გენერატორის სიმძლავრეზე და დისკომფორტი შეუქმნას მომხმარებლისთვის. ქსელის იმაზე მაღალმა სტატიკურ/დინამიკურმა წნევამ, ვიდრე ეს რეგულარული ფუნქციონირებისთვისაა გათვალისწინებული, შეიძლება გამოიწვიოს მოწყობილობის საკონტროლო ორგანოების სერიოზული დაზიანება; ამ შემთხვევაში, საჭირო გახდება გაზსადენზე ჩარევა. არ ჩართოთ დანადგარი. დანადგარის შესამოწმებლად მიმართეთ კვალიფიციურ პერსონალს.**



**მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, აუცილებელია, დანადგარისა და გაზის მიერთებების სათავეში დაინსტალირდეს სათადარიგო ონკანი. ღნიშნული ონკანი, თუ მოწოდებულია მოწყობილობის მწარმოებლის მიერ, შეიძლება უშუალოდ დაუკავშირდეს დანადგარს (სისტემასა და მოწყობილობის დამაკავშირებელი მილების ქვემოთ), მწარმოებლის მითითებების შესაბამისად. Immergas-ის დამაკავშირებელი განყოფილება, რომლის კომპლექტიც მიეწოდება სურვილისამებრ, აგრეთვე შეიცავს გაზის ონკანს, რომლის ინსტალაციის ინსტრუქცია თანდართულია კომპლექტზე. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია დარწმუნდეთ, რომ გაზის ონკანი სწორად არის მიერთებული.**

სანვავის გაზის მიწოდების მილის ზომა შესაბამისობაში უნდა იყოს მოქმედ რეგულაციებთან, უნდა იყოს შესაბამისი ზომის მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, რათა გარანტირებული იყოს სანთურამდე გაზის სწორი ნაკადის მიღწევა გენერატორის მაქსიმალური სიმძლავრის პირობებშიც კი და უზრუნველყოს მოწყობილობის გამართული და ეფექტიანი მუშაობა(ტექნიკური მონაცემები).  
შეერთების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ რეგულაციებს (EN 1775).



მოწყობილობა მუშაობს სუფთა წვად გაზზე, მინარევეების გარეშე; გაზი დაბინძურებულია, საჭირო გახდება მის გასასუფთველად სანვავის სპეციალური ფილტრების ჩასმა აპარატის ზედა ნაწილში.

#### საცავი ავზები (ენერჯის წყაროს LPG სანყოფიდან მიწოდების შემთხვევაში).

- ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა LPG-ის საცავი ავზები შეიცავდეს ინერტული აირის (აზოტის) ნარჩენებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სისტემისთვის მიწოდებული ნარევის დაბინძურება და შედეგად, მისი გაუმართაობა.
- LPG ნარევის შემადგენლობიდან გამომდინარე, საცავ ავზებში დაყოვნების პერიოდში შეიძლება მოხდეს ნარევის კომპონენტების სტრატეფიკაცია. ამან შეიძლება გამოიწვიოს მოწყობილობაში მიწოდებული ნარევის კალორიული ღირებულების ცვალებადობა, რაც შესაძლოა აისახოს მისი მუშობის ეფექტიანობაზეც.

## 1.9 ჰიდრავლიკური კავშირები



დანადგარის შეერთების სამუშაოების განხორციელებამდე, კონდენსაციის მოდულზე გარანტიის გაუქმების თვიდან აცილების მიზნით, ფრთხილად გარეცხეთ გათბობის სისტემა (მილები, გამათბობელი ელემენტები და ა. შ.) სპეციალური დამცავი ან გამწმენდი საშუალებებით, იმ სავარაუდო ნარჩენების მოსაცილებლად, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დანადგარის გამართულ მუშაობას.

მოქმედი ტექნიკური კანონმდებლობის თანახმად, აუცილებელია თერმული და სისტემის წყლის დამუშავება, რათა სისტემა და მოწყობილობა დაცული იყოს კირქვის, ლამის ან სხვა ტიპის მავნე ნალექების საზიანო ზემოქმედებისგან.

გადამრთველზე გარანტიის პირობების გაუქმების თვიდან ასაცილებლად, აუცილებელია მითითებული დებულებების გათვალისწინება (პარაგ. 1.30).

ჰიდრავლიკური შეერთებების კორექტულად განსახორციელებლად, იხელმძღვანელოთ მოწყობილობაზე შესაერთებელ მონაკვეთებზე არსებული აშბლონებით.



მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი ავტომატური შევსებით გამოწვეულ ხარვეზებზე.

სასმელი წყლის დაბინძურების თავიდან ასარიდებლად, ქარხნული მოწყობილობების შესახებ EN 1717-ით დადგენილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, გირჩევთ გამოიყენოთ IMMERGAS-ის უკუდინების საწინააღმდეგო ნაკრები, მოწყობილობის ცივი წყლის მიერთების წერტილის ზემოთ დასაინსტალირებლად. ასევე, რეკომენდირებულია, რომ მოწყობილობის (გათბობის სისტემაში) შესაყვანი თერმოვექტორული სითხე ( მაგ., წყალი + გლიკოლი), შეესაბამებოდეს EN 1717. სტანდარტებით განსაზღვრულ მე-2 კატეგორიას.



მოწყობილობის ხანგრძლივობისა და ეფექტურობის შესანარჩუნებლად, რეკომენდებულია „პოლიფოსფატის დისპენსერის“ ნაკრების დაყენება, რათა თავიდან ავიცილოთ წყლის თვისებებით გამოწვეული სავარაუდო კირქვის გაჩენა. არ შეიძლება დისპენსერის დამონტაჟება ჩასასმელი ჩარჩოს შიდა ნაწილში.

### 3 ბარიანი უსაფრთხოების სარქველი

დამცავი სარქველის გადინების მილი გადაერთებულია კონდენსატის გადინების სიფონის გამოსასვლელზე. შესაბამისად, სარქველის ამოქმედების შემთხვევაში, გაუჩინილი სითხე კონდენსატის სადრენაჟო სიფონის სანიაღვრე მილით ჩაედინება კანალიზაციის სისტემაში.

სათადარიგო მიზნით, მოწყობილობის ქვედა ნაწილში ჩაშენებულია გამოსაბოლქვი თავაკი (იხ. 3 ნახ. 8) შესაბამისი თავსახურით, გამოსაბოლქვ სისტემაში სითხის სავარაუდო არსებობის შემოწმებისა და 3 ბარიანი უსაფრთხოების სარქველის გამართული მუშაობის შემოწმების მიზნით.

### კონდენსატის გადინება

მოწყობილობის მიერ წარმოქმნილი კონდენსაციის წყლის გადინებისთვის, აუცილებელია სისტემის მიერთება კანალიზაციის სიტემასთან შესაბამისი, მუავა კონდენსატისადმი მდგრადი მილების გამოყენებით, რომელთა შიდა დიამეტრი მინიმუმ  $\varnothing 13$  მმ-ია.

დანადგარის სისტემის საკანალიზაციო ქსელთან მიერთება იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ თვიდან იქნას აცილებული მასში შემცველი სითხის გაჭედვა ან გაყინვა.

მოწყობილობით სარგებლობის დაწყებამდე, დარწმუნდით კონდენსატის ევაკუაციის ფუნქციის გამართულად მუშაობაში; პირველი აალების შემდეგ დარწმუნდით, რომ სიფონი შევსებულია კონდენსატით (პარაგ. 1.32).

ასევე აუცილებელია სადინარების ჩამდინარე წყლებში ჩაშვებასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობისა და მოქმედი ეროვნული და ადგილობრივი ნორმების დაცვა.

იმ შემთხვევაში, თუ კონდენსატი არ ჩაედინება ჩამდინარე წყლების სადრენაჟო სისტემაში, აუცილებელია კონდენსატის ნეიტრალიზატორის დაყენება, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პარამეტრებთან შესაბამისობას.

### 1.10 ელექტრონული კავშირი

მონყობილობას აქვს IPX5D დაცვის ხარისხი, ელექტრული უსაფრთხოების ეფექტიანობის მნიშვნელოვანია, რომ დანადგარი დამონტაჟებული იყოს სრულყოფილად, სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას უსაფრთხოების მოქმედი სტანდარტების სრული დაცვით.



მწარმოებელი არ იღებს პასუხისმგებლობას დანადგარის იატაკზე დამონტაჟებით ან IEC სტანდარტების გაუთვალისწინებლობით ადამიანებზე ან ნივთებზე მიყენებული ზიანის გამო.

#### მართვის პანელის მიერთების განყოფილების გახსნა (ნახ.9).


ელექტრო სამუშაოების განსახორციელებლად, საკმარისია შეერთების ნაკვეთურის გაღება და შესაბამისი ინსტრუქციების მიყოლა.

1. წინა გარსაცმის მოხსნა (ნახ. 74).
2. თავსახურის მოხსნა (a).
3. დაეჭიდეთ შეერთების ნაკვეთურის თავსახურზე განთავსებულ კაუჭებს.
4. ამოიღეთ თავსახური (a) ხელსაწყოთა პანელიდან (b).

ამ ეტაპზე ტერმინალის ბლოკზე (c) წვდომა შესაძლებელია.



(d) განყოფილების შიგნით განთავსებულია საკაბელო ბუდეები და ხრახნები, რომლებიც შესაძლოა გამოიყენებულ იქნას მონყობილობის გარე კავშირების დასაკავშირებლად.



9

ასევე შეამოწმეთ, რომ ელექტრული სისტემა ადეკვატურია მონყობილობის მიერ შთანთქმული მაქსიმალური სიმძლავრისა, რომელიც მითითებულია მონყობილობაზე განთავსებული მონაცემების ფირფიტაზე. გამათბობელი ქვაბები აღჭურვილია სპეციალური, X ტიპის უშტეტსელ დენის კაბელებით.



**დენის კაბელი უნდა იყოს დაკავშირებული 230V ~± 10% / 50Hz ქსელთან LN პოლარობისა და დამინების კავშირის სრული დაცვით, აღნიშნული ქსელი უზრუნველყოფილ უნდა იყოს III კლასის კატეგორიის ძაბვის ომნიპოლარული გათიშვით, ინსტალაციის წესების შესაბამისად.**



**პულსირებული უწყვეტი ძაბვების ნებისმიერი დისპერსიისგან დასაცავად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს A ტიპის დიფერენციალური უსაფრთხოების მოწყობილობით.**



**თუ ელექტრომომარაგების კაბელი დაზიანებულია, უნდა შეიცვალოს კაბელით ან სპეციალური ნაკრებით, რომელიც ხელმისაწვდომია მხოლოდ მწარმოებლისთან ან ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრებში.**



**შეცვლისთვის რეკომენდირებულია, დაუკავშირდეთ კვალიფიციურ კომპანიას (მაგალითად, ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრს), რათა თავიდან აიცილოთ ნებისმიერი რისკი.**

დენის კაბელის მონტაჟისას დაცული უნდა იქნას წინასწარ დადგენილი მარშრუტი (ნახ. 8).  
იმ შემთხვევაში თუ საჭირო გახდა სისტემის დამცველის შეცვლა, ელექტრულ სქემაზე (ნახ. 59) მითითებულია როგორც კომპონენტი "F1", სგავსი სახის ოპერაცია უნდა განხორციელდეს კვალიფიციური პერსონალის მიერ სწრაფი ტიპის (F) 250VAC, 3,15A-იანი დამცველის (ზომებით 5 x 20). გამოყენებით.  
დაუშვებელია დანადგარის ზოგადი ელექტრომომარაგების ქსელში ადაპტერების, მრავალჯერადი სოკეტების და დამაგრძელებლების გამოყენება.



**ქვაბსა და სავარაუდოდ საცავ ავზს შორის ელექტრული კავშირის დასამყარებლად, საჭიროა შესაბამისი ტერმინალის დაფების, 36 და 37, მიერთება რაც გამორიცხავს ქვაბში არსებულ R8 წინაღობას (ნახ. 59).**

**უშუალოდ დაბალ ტემპერატურაზე მომუშავე სისტემის ინსტალაცია.**

ბოილერს შეუძლია დაბალტემპერატურიანი სისტემის პირდაპირ კვება, ტემპერატურის რეგულირების დიაპაზონი უნდა იყოს დაყენებული „t0“ და „t1“ (პარაგრაფი 3.11).  
ასეთ სიტუაციაში მიზანშეწონილია სპეციალური უსაფრთხოების ნაკრების ჩასმა (სურვილისამებრ), რომელიც შედგება თერმოსტატისგან (რეგულირებადი ტემპერატურით).  
თერმოსტატი უნდა განთავსდეს სისტემის მიწოდების მიღზე გამაცხელებელი ქვაბიდან მინიმუმ 2 მეტრის დაშორებით.

## 1.11 დისტანციური მართვის პულტი და ოთახის ქრონოთერმოსტატები (არასავალდებულო)

მონყობილობას შეუძლია იმუშაოს როგორც ოთახის ქრონოთერმოსტატებზე, ასევე დისტანციური მართვის პულტზე, რომლებიც ხელმისაწვდომია არასავალდებულო, დამატებითი ნაკრების სახით. ყურადღებით გაეცანით აქსესუარების ნაკრებზე დართული მონტაჟისა და გამოყენების ინსტრუქციას.



**მებისმიერი ელექტრული მიერთების განხორციელებამდე, გამორთეთ მონყობილობა დენის წყაროდან.**

### Immergas-ის ციფრული ქრონოთერმოსტატი On/Off.

ქრონოთერმოსტატი საშუალებას გაძლევთ:

- ოთახის ტემპერატურის ორი პარამეტრის დაყენება: დღის (კომფორტის ტემპერატურა) და ღამის (დაბალი ტემპერატურა);
- დააყენეთ ყოველკვირეული პროგრამა ოთხი დღიური ჩართვა / გამორთვის ფუნქციით;
- აირჩიეთ, შესაძლო ალტერნატივებიდან, სასურველი ოპერაციული ფუნქცია:
  - მექანიკური ფუნქციონირების რეჟიმი (რეგულირებადი ტემპერატურით);
  - ავტომატური მუშაობა (დაყენებული პროგრამით);
  - ფორცირებული ავტომატური მუშაობის რეჟიმი (ავტომატური პროგრამის ტემპერატურის მომენტალური შეცვლით).

ქრონოთერმოსტატი იკვებება 2, 1,5V -იანი, LR 6 ტუტე ბატარეით.

### დისტანციური ბრძანება v2 (CARv2) კლიმატის ქრონოთერმოსტატის ფუნქციონირებით.

CARv2 პანელი საშუალებას აძლევს მომხმარებელს, წინა პუნქტში ილუსტრირებული ფუნქციების გარდა, აკონტროლოს და რაც მთავარია, ხელთ ჰქონდეს ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც შეეხება მონყობილობის გამართულ მუშაობას და გათბობის სისტემას, წინა პარამეტრებზე მოხერხებულად ჩარევის შესაძლებლობით და რაც მთავარია, მონყობილობის ინსტალაციის ადგილიდან დისტანციურად, გადაადგილების გარეშე.

პანელი აღჭურვილია თვითდიაგნოსტიკის ფუნქციით, რას საშუალებას იძლევა, მონყობილობის ეკრანზე აჩვენოს ნებისმიერი სახის ანომალია.

დისტანციურ პანელში ჩაშენებული კლიმატური თერმოსტატის საშუალებით, შესაძლებელია სისტემის მიწოდების ტემპერატურის გასათბობი სივრცის რეალურ მოთხოვნილებებზე მორგება იმგვარად, რომ მივიღოთ ოთახის სასურველი ტემპერატურა უკიდურესი სიზუსტითა და შესაბამისად, ხარჯების საგრძნობი დაზოგვით.

### დისტანციური მართვის v2 ელექტრო კავშირიან ანუ On/Off ქრონოთერმოსტატი (ფაკულტატიური).



**ქვემოთ აღწერილი ოპერაციები უნდა განხორციელდეს მონყობილობიდან ძაბვის გამორთვის შემდეგ.**

სავარაუდო ოთახის თერმოსტატი On/Off უნდა მიერთდეს ტერმინალის 44/40 და 41 დაფებზე, ამასთან უნდა მოიხსნას X40 ჯუმპერი (ნახ. 59).

დარწმუნდით, რომ ჩართვა/გამორთვის თერმოსტატის კონტაქტი არის ე,წ. „სუფთა“ ტიპის, ანუ ქსელის ძაბვისგან გამოუკიდებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა გამოიწვიოს ელექტრონული რეგულირების დაფის დაზიანება.

სავარაუდო დისტანციური მართვის მონყობილობა Comando Amico Remoto v2, CARV2 უნდა მიერთდეს ტერმინალის 44/40 და 41 დაფებზე, ამასთან, უნდა მოიხსნას X40 ჯუმპერი (ნახ. 59).

შესაძლებელია ქვაბის მხოლოდ ერთ დისტანციური მართვასთან დაკავშირება .



დისტანციური მართვის პულტის v2 ან ნებისმიერი სახის On/Off ქრონოთერმოსტატის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია ორი განცალკევებული ხაზის დაყენება, როგორც ამას ელექტრო სისტემებთან დაკავშირებული მიმდინარე რეგულაციები ითვალისწინებს. დაუშვებელია, დანადგარის მიღებისგამოყენება ელექტრო ან სატელეფონო სისტემის გრინტის სოკეტებად. შესაბამისად, იზრუნეთ ამის თავიდან ასაცილებლად აპარატის ელექტრონული კავშირების დამყარებამდე.



## 1.12 გარე ტემპერატურის ზონდი (არასავალდებულო)

შესაძლებელია დანადგარზე გარე ზონდის (ნახ. 10) დამონტაჟება. აღნიშნული გარე ზონდის ნაკრები არასავალდებულოა და მიეწოდება მოთხოვნის შემთხვევაში.

გარე ზონდის განსათავსებლად, იხილეთ შესაბამისი ინსტრუქციის ფურცელი.


შესაძლებელია ზონდის უშუალო დაკავშირება მოწყობილობის ელექტრულ სისტემასთან, რაც იძლევა სისტემაში ნაკადის მაქსიმალური ტემპერატურის ავტომატურად შემცირების საშუალებას გარე ტემპერატურის მატების შემთხვევაში. ამგვარად, შესაძლებელია სისტემისთვის მიწოდებული ნაკადის ტემპერატურის რეგულირება გარე ტემპერატურის ცვალებადობის შესაბამისად.

გარე ზონდი, როდესაც მიერთებულია, ყოველთვის მოქმედებაშია, მიუხედავად გამოყენებული ოთახის ქრონოთერმოსტატის არსებობის ან მისი ტიპისა და შეუძლია იმუშაოს Immergas-ის ორივე ქრონოთერმოსტატთან კომბინაციაში.

სისტემაში ნაკადის ტემპერატურასა და გარე ტემპერატურას შორის კორელაცია დამოკიდებულია ინსტრუმენტთა პანელზე (ან CARv2-ის მართვის პანელზე თუ დაკავშირებულია ბოილერთან) არსებული გათბობის სელექტორის პოზიციაზე, დიაგრამაზე ნაჩვენებ მრუდების მიხედვით (ნახ. 11).

გარე ზონდის ელექტრული კავშირი უნდა განხორციელდეს მოწყობილობის ინსტრუმენტთა პანელზე განთავსებული ტერმინალური ბლოკის 38 და 39 დაფებზე (ნახ. 59).


**i** ზონდით სარგებლობის შემთხვევაში, აუცილებელია ორი განცალკევებული ხაზის დაყენება, როგორც ამას ელექტრო სისტემებთან დაკავშირებული მიმდინარე რეგულაციები ითვალისწინებს.



10

**კანონი გადინების ნაკადის ტემპერატურის კორექტირების შესახებ, გარემოს ტემპერატურისა და მომხმარებლის მიერ რეგულირებული გათბობის ტემპერატურის გათვალისწინებით.**

\* მომხმარებლის გათბობის ტემპერატურის რეგულირების პოზიცია.




11

### 1.13 გრიპის სისტემების დამონტაჟების ტიპების ზოგადი მაგალითები




C<sub>(10)</sub> და C<sub>(12)</sub> ტიპის ინსტალაციის შემთხვევაში, სავალდებულოა დანადგარის მილსადენის გამოსაბოლქვზე, Immergas-ის მიერ მონოდებული ფაკულტატიური კვამლის გაჟონვისგან დამცავი სარქველის ნაკრების დამონტაჟება, რომელიც მოიცავს თვისთავად სარქველსა და ინსტრუქციებს, უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის შემცველ სპეციალურ სტიკერებს (ნახ. 39).



43



ეს კონფიგურაცია (დასაშვებია მხოლოდ ჩამენებული კვამლსადენის არსებობის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს კვამლის გაჟონვისგან დამცავ სპეციალურ სარქველს), იძლევა ჰაერის საცხოვრებლის გარედან ან უშუალოდ ატრიუმიდან შენთვის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ საერთო კვამლსადენი შეიცავს როგორც კვამლის გამოსაბოლქვს, ასევე კვამლსადენ მილს.



**C<sub>(10)</sub>** (ნახ. 44):

გამწოვის ლილვზე მიერთების განხორციელება შესაძლებელია Ø 80 დიამეტრის კვამლსადინარით ან Ø 80 დიამეტრის გადაჭრილი კვამლსადინარით.

**C<sub>(10)</sub> - C<sub>(12)</sub>** (ნახ. 44 - 45)

საერთო კვამლსადინარზე გამწოვი მილის მიერთება შესაძლებელია Ø 80 დიამეტრის შუასადებიანი მილსადენის მეშვეობით.

**გამყოფი ნაკრების Ø 80/80 მონტაჟი (ნახ. 46):**

1. დააინსტალირეთ გამოსაბოლქვი მილტუჩა (4) დანადგარის მილტუჩს კიდებზე, შესაბამისი შუასადების (1) მოთავსებით ისე, რომ წრიული გამონაბარდებით ქვევით იყოს მოქცეული და ეხებოდეს დანადგარის გამოსაბოლქვ მილტუჩს. ამის შემდეგ დაუჭირეთ კომპლექტში არსებული ბლტყელწვერიანი და ექვსკუთხა თავიანი ხრახნებით.
2. მოხსენით გამწოვ ფოსოში მოთავსებული ბრტყელი მილტუჩა და შეცვალეთ იგი გამწოვი მილტუჩათი (3), გამყოფ ნაკრებში Ø 80/80 არსებული შუასადების (2) მოთავსებით. ამის შემდეგ დაუჭირეთ ნაკრებში არსებული წვეტიანი ხრახნებით.
3. ამოიღეთ Ø 125 დაგრძელება კვამლის გაჟონვისგან დამცავი სარქველის ნაკრებიდან.
4. განათვსეთ დისტანციატორი Ø 80 sp. 5 მმ გამოსაბოლქვი მილტუჩას შიდა ნაწილში..
- 5.

**Victrix Tera V2 24 PLUS EU**

ისარგებლეთ სარქველის დიდ თავსახურზე დამონტაჟებული სტანდარტულად მიწოდებული საპირწონე (სიმაღლე 3,5 mm), არ გამოიყენოთ ნაკრებში მიწოდებული საპირწონეთ (სიმაღლე 6,5 mm) (იხ. 1 ნახ. 39).

**Victrix Tera V2 35 PLUS EU**


შეცვალეთ სარქველის დიდ თავსახურზე დამონტაჟებული სტანდარტულად მიწოდებული საპირწონე (სიმაღლე 3,5 mm), ნაკრებში მიწოდებული საპირწონეთი (სიმაღლე 6,5 mm). არ გამოიყენოთ საპირწონე 3,5 mm).

6. მოათვსეთ კვამლის გაჟონვისგან დამცავი სარქველი Ø 80 გამოსაბოლქვის მილტუჩაში.



**დარწმუნდით, რომ კვამლგამწოვზე განთავსებული კვამლის გაჟონვისგან დამცავი სარქველის სიფონი შევსებულია წყლით (ნახ.39):**

7. მიაერთეთ მუხლი (5) გლუვი მხრიდან გამოსაბოლქვი მილტუჩის შესაბამის კიდებზე (3 და 4).
8. ლილვიდან განოვის (C<sub>(10)</sub>) ანუ საერთო კვამლსადინარის მეშვეობით გამწოვი სისტემის დამონტაჟებისთვის, მიუერთეთ მუხლს (5) შემწოვი მილები Ø 80 (6) მას შემდეგ, რაც წინასწარ განათავსებით შიდა რობეტს (7). კედლის გამწოვი სისტემის (C<sub>(12)</sub>) შემთხვევაში, მოათავსეთ გამწოვი ტერმინალის (6) გლუვი მხარე მუხლის (5) შესაბამის კიდებში, სანამ უძრავად არ დაფიქსირდება, დარწმუნდით, რომ უკვე დაყენებულია შესაბამისი შიდა (7) და გარე რობეტი (8).
9. მიაერთეთ გამწოვი მილები Ø 80 მას შემდეგ, რაც განათავსებთ შიდა რობეტს (7) მილის ტერმინალურ ნაწილში.
10. აირჩიეთ პარამეტრი F8 = 1.
11. აირჩიეთ დასამონტაჟებელი ვენტილატორის რაოდენობა ცხრილის (პარაგ. 3.8) შესაბამისად.
12. შეასრულეთ CO<sub>2</sub>-ს კალიბრაცია მაქსიმალურ და მინიმალურ სიმძლავრეზე (იხ. პარაგ. 4.2).



კომპლექტში შედის (ნახ. 46):

- N°1 გამოსაბოლქვის შუასადები (1)
- N°1 მილტუჩის სამაგრი შუასადები (2)
- N°1 გამწოვის მილტუჩი (3)
- N°1 გამოსაბოლქვის მილტუჩი (4)
- N°2 მუხლი 90° Ø 80 (5)
- N°1 დაგრძელება Ø 80 (6) (მხოლოდ C<sub>(10)</sub>)
- N°1 გამწოვი ტერმინალი Ø 80 (6) (მხოლოდ C<sub>(12)</sub>)
- N°2 შიდა როზეტები (7)
- N°1 გარე როზეტი (8) (მხოლოდ C<sub>(12)</sub>)
- N°1 გამოსაბოლქვი მილი Ø 80 (9)
- N°1 (კვამლის გაუფრთხილებელი და მცავი სარქველი Ø 80) (10)



**N.B.:** მოხსენით დაგრძელება Ø 125

ტექნიკური მემონტაჟი

მომხმარებელი


ტექნიკოსი

ტექნიკური მონაცემები



მინიშნება (ნახ. 48):

- A - შეწოვა
- X - მინიმალური დახრილობა 5%
- S - გამოსაბოლქვი



## ინფორმაცია C<sub>(10)</sub> და C<sub>(12)</sub> ინსტალაციის შესახებ



დანადგარი ფუნქციონირებს C<sub>(10)</sub> ან C<sub>(12)</sub> სისტემისა და, მხოლოდ და მხოლოდ, მეთანის გაზით (2H და 2E კატეგორიები) მომარაგების პირობებში.

დანადგარები გათვლილია კოლექტიურ კვამლსადინარებზე მისაერთებლად და ფუნქციონირებენ 25 პა უსაფრთხოების წნევით მინიმალური თერმული სიმძლავრის პირობებში, ხოლო 100 პა უსაფრთხოების წნევით, მაქსიმალური თერმული სიმძლავრის პირობებში.



C<sub>(10)</sub> ან C<sub>(12)</sub> ტიპის კვამლსადენი სისტემებით დამონტაჟებულ ქვაბებში უნდა გააქტიურდეს პარამეტრი "კვამლის შემაკავებელი სარქველი" (P8 = 1). CO<sub>2</sub>-ს გამოყოფის დონე განპირობებულია კოლექტიურ კვამლსადენში არსებული ფუნქციონალური წნევით, განსაკუთრებით კი, მინიმალურ თერმულ სიმძლავრის ან კვამლსადინარში მიმდინარე სავარაუდო რეცირკულაციის მოვლენების პირობებში წარმოქმნილი წნევით.

დანადგარი მიერთებულ უნდა იქნას სპეციალისტის მიერ დაპროექტებულ სათანადო კვამლგამწვავ სისტემაზე, მოქმედი ნორმატივების შესაბამისად.

კოლექტიური კვამლსადინარის სისტემის ზომები სათანადოდ უნდა იქნას გათვლილი იმისათვის, რომ დანადგარმა, რომელიც გათვლილია გარკვეულ სპეციფიკურ თვისებებზე, შეძლოს გამართული მუშაობა.

- მაქსიმალური წნევა, n-1 დანადგარების მაქსიმალური თერმული სიმძლავრითა (სადაც n=ერთსა და იმავე კოლექტიურ კვამლსადენზე მიერთებული ან პოტენციურად მიერთებადი დანადგარების რაოდენობას) და ბოილერის მინიმალური თერმული სიმძლავრით მუშაობის პირობებში, 25 პასკალია;
  - გამომავალი წვის ჰაერისა და შემავალი წვის ჰაერის პროცესების შორის დასაშვები მინიმალური წნევის სხვაობაა 200 პა (- 400 პა C<sub>(12-ს პირობებში)</sub>) -ქარის მიერ წარმოქმნილი 100 პა (-300 პა C<sub>(12)პირობებში</sub>) -ის ჩათვლით;
  - მილის ზომები გათვლილი უნდა იყოს წვის პროდუქტების ნომინალური ტემპერატურის, 25 ° C, გათვალისწინებით.
  - რეცირკულაციის დასაშვები მაქსიმალური ნორმა ქარის ზემოქმედების პირობებში 10%-ია;
  - კოლექტიური კვამლსადენს უნდა გააჩნდეს სათანადოდ დასაბუთებული ამტანობა გადაჭარბებული, დაახლოებით 200 პასკალი წნევის პირობებში (მინიმალური წნევაზე მდგრადობის კატეგორია P1);
  - მოწყობილობის სადინარების სისტემაში არ უნდა იყოს გათვალისწინებული ამომრთველების არსებობა.
- კერძოდ, საერთო კვამლსადინართან მიერთების ადგილას დამაგრებული უნდა იყოს შემდეგი ტექნიკური ინფორმაციის შემცველი ადვილად ხილვადი ფირფიტა:
- საერთო კვამლსადენი სისტემის მწარმოებლის დასახელება და სავაჭრო ნიშანი;
  - C<sub>(10)</sub> ან C<sub>(12)</sub> კატეგორიის წყლის გამაცხელების მიერთების პირობებში გამართულად ფუნქციონირების უნარი;
  - კვამლის მასის დასაშვები მაქსიმალური მაჩვენებელი მითითებული კვ/სთ-ში;
  - საერთო სადინარის ზომები (კოლექტიური კვამლსადენი) თითოეული მიერთების შემთხვევაში;



უნდა დაიხუროს საერთო კვამლსადენი სისტემაზე არსებული ღიობები წვის ჰაერისა და წვის პროდუქტების შედინების მონაკვეთებზე, და გამორთული დანადგარის პირობებში შემოწმდეს მათი მდგრადობა.

დანადგარის მიერთება კოლექტიურ კვამლსადინარზე უნდა განხორციელდეს სპეციალური მოდალობების გათვალისწინებით და მითითებული მაქსიმალური ზომების დაცვით.

კვამლგამწვავი მილი დახრილი უნდა იყოს (5%-იანი დახრილობით) წყლის გამაცხელებლის მიმართულებით, კონდენსატის გადინების ხელშეწყობის მიზნით.



დანადგარის კვამლის გადინების მონაკვეთზე, უნდა დამონტაჟდეს კვამლის გაჟონვისგან დამცავი სარქველის ნაკრები, რაც უზრუნველყოფს დანადგარის გამართულ მუშაობასა და გააადვილებს დანადგარზე ტექნიკური სამუშაოების შესრულებას.

გარდა ამისა, დანადგარის გარე საფარზე უნდა დამაგრდეს სპეცილური უსაფრთხოების სტიკერი, რომელიც მიენოდება შესაბამის C<sub>(10)</sub> C<sub>(12)</sub> ნაკრებში და შეიცავს დამატებით კვამლის გაჟონვისგან დამცავ სარქველს, რომელიც სავალდებულოა წნევის კოლექტიური კვამლსადინარების შემთხვევაში.



რეკომენდირებული გარე ფასადის თვალსაჩინო მონაკვეთზე სტიკერის მიმაგრება.



დალუქული წვის კამერის გახსნამ შესაძლოა გამოიწვიოს წვის პროდუქტების გარემოში გამოდინება, მაშინაც კი, თუ დანადგარი გამორთულია.

ტექნიკური მემონტაჟი

მომხმარებელი

ტექნიკოსი

ტექნიკური მონაცემები

**C<sub>10</sub> ინსტალაციის ტიპებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემაჯამებელი ცხრილი (მხოლოდ მეთანი 2E - 2H)**

		<b>VICTRIX TERA V2 24 PLUS EU</b>	
		Q <sub>min</sub>	Q <sub>იმაქს</sub>
თერმული სიმძლავრე	kW	4,5	28,7
CO <sub>2</sub> % საორიენტაციო	%	8,5	9,2
ბოილერიდან გადინების მაქსიმალური წნევა	Pa	25	93
ქვაბიდან გადინების მინიმალური წნევა C <sub>10</sub>	Pa	-200	-200
ქვაბიდან გადინების მინიმალური წნევა C <sub>12</sub>	Pa	-400	-400
კვამლგამწოვის მაქსიმალური სიმძლავრე	კვ\სთ	46	
კვამლგამწოვის მინიმალური სიმძლავრე	კვ\სთ	8	
კვამლგამწოვის ტემპერატურა 80°C\60°C	°C	73	
კვამლსადინარის მაქსიმალური სიგრძე 80\125	m	10	
კვამლსადინარის მაქსიმალური სიგრძე 80\80	m	15	
მოცემული სხვაობა სადინარის მაქსიმალური სიგრძის პირობებში	Pa	40,5	
გამაცხელებლის პარამეტრების დაყენება (ინსტრუქციების სახელმძღვანელოში მოცემული მითითებების შესაბამისად)	-	იხილეთ პარაგ. 1.24 მე-9 და მომდევნო პუნქტები.	

		<b>VICTRIX TERA V2 35 PLUS EU</b>	
		Q <sub>min</sub>	Q <sub>იმაქს</sub>
თერმული სიმძლავრე	kW	6,3	38,3
CO <sub>2</sub> % საორიენტაციო	%	8,5	9,0
ბოილერიდან გადინების მაქსიმალური წნევა	Pa	25	93
ქვაბიდან გადინების მინიმალური წნევა C <sub>10</sub>	Pa	-200	-200
ქვაბიდან გადინების მინიმალური წნევა C <sub>12</sub>	Pa	-400	-400
კვამლგამწოვის მაქსიმალური სიმძლავრე	კვ\სთ	63	
კვამლგამწოვის მინიმალური სიმძლავრე	კვ\სთ	11	
კვამლგამწოვის ტემპერატურა 80°C\60°C	°C	77	
კვამლსადინარის მაქსიმალური სიგრძე 80\125	m	10	
კვამლსადინარის მაქსიმალური სიგრძე 80\80	m	15	
მოცემული სხვაობა სადინარის მაქსიმალური სიგრძის პირობებში	Pa	74,9	
გამაცხელებლის პარამეტრების დაყენება (ინსტრუქციების სახელმძღვანელოში მოცემული მითითებების შესაბამისად)	-	იხილეთ პარაგ. 1.24 მე-9 და მომდევნო პუნქტები.	



## 1.25 კვამლგამწოვი ან ტექნიკური საჰაერო

სავენტილაციო ქსელის დამონტაჟება გულისხმობს, ერთი ან მეტი სათანადო მილით ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს წვის პროდუქტების ევაკუაციას იმ გაზის გამათბობლების შემთხვევაში, რომელთაც გააჩნიათ უკვე არსებული ან შემდეგში ჩაშენებული გამწოვი მილი. საკვამური ან ტექნიკური საჰაერო (აგრეთვე ახალ ნაგებობებშიც) (ნახ. 50).

სავენტილაციო სისტემის დასამონტაჟებლად, გამოყენებულ უნდა იქნას, აუცილებლად მწარმოებლის მიერ მითითებული სპეციალური მილები, ამავე მწარმოებლის მიერვე მითითებული ინსტალაციისა და გამოყენების წესებისა და მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული ნორმების სრული დაცვით.

### Immergas-ის კვამლგამწოვი სისტემები




"მწვანე სერიის" კვამლგამწოვი სისტემები  $\varnothing 60$  დიამეტრის ხისტი სადინარი,  $\varnothing 50$  და  $\varnothing 80$  დიამეტრის ფლექსიური სადინარი და  $\varnothing 80$  დიამეტრის ხისტი სადინარი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ საშინაო მოხმარებისთვის Immergas-ის კონდენსატორულ მოწყობილობებთან ერთად.

ნებისმიერ შემთხვევაში, კვამლსადინარების სამუშაოები მოქმედ რეგლამენტსა და ტექნიკურ კანონმდებლობაში მოცემულ მითითებებთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს; კერძოდ, კვამლსადენი სისტემის ქსელში მიერთების შესაბამისი სამუშაოების დასრულების შემდეგ, უნდა შეივსოს სპეციალური დეკლარაცია უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

ასევე დაცული უნდა იყოს პროექტის ან ტექნიკური ანგარიშის მითითებები მოქმედი რეგლამენტითა და ტექნიკური კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დროთა განმავლობაში, კვამლგამწოვი სისტემის საიმედოობისა და გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

- კანონმდებლობით განსაზღვრულ ზომიერ ატმოსფერულ და გარემო პირობებში (გარემოს ნორმალური თერმოფიზიკური ან ქიმიური მდგომარეობა არ უნდა იყოს დაბინძურებული კვამლით, მტვრით ან რაიმე სახის აირებით; ტემპერატურის ცვალებადობა უნდა თავსდებოდეს ყოველდღური ცვალებადობის სტანდარტულ დიაპაზონში და ა.შ.).
- მოწყობილობის ინსტალაცია და ტექნიკური უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს წინასწარ შერჩეული, ე.წ. "მწვანე სერიის" სავენტილაციო სისტემაზე თანდართული მითითებების გათვალისწინებითა და მოქმედი ნორმების სრული დაცვით.
- დაცულ უნდა იქნას მწარმოებლის მიერ მითითებული მაქსიმალური სიგრძე (პარაგ. 1.16).



სხვადასხვა ტიპის საინსტალაციო კვამლსადინარების მაქსიმალური სიგრძე (L მაქს.) მითითებულია შემაჯამებელ ცხრილში, პარაგ. 1.16.

## 1.26 კვამლსადენის დამონტაჟების C<sub>6</sub> კონფიგურაცია



დანადგარი გამიზნულია სერიულ გამოსაბოლქვ/შემწოვ სისტემასთან დასაკავშირებლად.

### Victrix Tera V2 35 Plus EU

გაზის ტიპი		G20	G31
კვამლგამწოვის ტემპერატურა მაქსიმალურ სიმძლავრეზე	°C	67,5	67
კვამლის მასა მაქსიმალურ სიმძლავრეზე	kg/h	40	41
კვამლგამწოვის ტემპერატურა მინიმალურ სიმძლავრეზე	°C	58	56
კვამლის მასა მინიმალური სიმძლავრეზე	kg/h	8	8
CO <sub>2</sub> მაქსიმალურ Q-ზე	%	9,1 (9,0 ÷ 9,4)	10,2 (10,0 ÷ 10,4)
CO <sub>2</sub> მინიმალურ Q-ზე	%	8,5 (8,3 ÷ 8,7)	9,7 (9,5 ÷ 9,9)
მაქსიმალური ხელმისაწვდომი სხვაობა მაქსიმალურ სიმძლავრეზე (სერიული კვამლსადენის მაქსიმალური მდგრადობის მაჩვენებელი)	Pa	163	
კვამლგამწოვში ხელმისაწვდომი მაქსიმალური სხვაობა მინიმალურ სიმძლავრეზე	Pa	5	
შესაძლო მაქსიმალური ტემპერატურა გამოსაბოლქვ სადინარში	°C	120	

### Victrix Tera V2 35 Plus EU

გაზის ტიპი		G20	G31
კვამლგამწოვის ტემპერატურა მაქსიმალურ სიმძლავრეზე	°C	72,5	73
კვამლის მასა მაქსიმალურ სიმძლავრეზე	kg/h	54	54
კვამლგამწოვის ტემპერატურა მინიმალურ სიმძლავრეზე	°C	64	62
კვამლის მასა მინიმალური სიმძლავრეზე	kg/h	11	11
CO <sub>2</sub> მაქსიმალურ Q-ზე	%	9,0 (8,9 ÷ 9,3)	10,2 (10,0 ÷ 10,4)
CO <sub>2</sub> მინიმალურ Q-ზე	%	8,5 (8,2 ÷ 8,6)	9,6 (9,4 ÷ 9,8)
მაქსიმალური ხელმისაწვდომი სხვაობა მაქსიმალურ სიმძლავრეზე (სერიული კვამლსადენის მაქსიმალური მდგრადობის მაჩვენებელი)	Pa	302	
კვამლგამწოვში ხელმისაწვდომი მაქსიმალური სხვაობა მინიმალურ სიმძლავრეზე	Pa	9	
შესაძლო მაქსიმალური ტემპერატურა გამოსაბოლქვ სადინარში	°C	120	



- სადინარებმა უნდა შეინარჩუნონ კონდენსაციაზე მდგრადობა (მხოლოდ კონდენსაციის მოდულების შემთხვევაში);
- ჰაერის გამწოვმა მილებმა უნდა გაუძლოს ჰაერის სამუშაო, 60°C- მდე ტემპერატურას;
- ქარის პირობებში კვამლის რეცირკულაციის დასაშვები მაქსიმალური პროცენტული მაჩვენებელია 10%.
- შემწოვი და გამოსაბოლქვი მილები არ შეიძლება დამონტაჟდეს მოპირდაპირე მხარეს განთავსებულ კედლებზე;
- C<sub>6</sub> კონფიგურაციის კვამლგამწოვის შემთხვევაში, დაუშვებელია გამოსაბოლქვის მიერთება წნევიან კოლექტიურ კვამლსადინარებზე.

## 1.27 B ტიპის კონფიგურაცია ღია კამერით და ფორსირებული ცირკულაციით შიდა გამოყენებისთვის

B<sub>23</sub> ან B<sub>53</sub> კონფიგურაციის სისტემები შესაძლოა დამონტაჟდეს დახურულ სივრცეში; ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია ყველა მოქმედი ეროვნული და ადგილობრივი ტექნიკური სტანდარტების, წესებისა და რეგულაციების დაცვა.

ინსტალაციისთვის საჭიროა საფარის ნაკრების გამოყენება, ინსტრუქციისთვის იხილეთ პარაგ. 1.17.

## 1.28 კვამლის საკვამურში/ბუხარში გადინება

B ტიპის ბუნებრივ აირზე მომუშვე დანადგარების შემთხვევაში (CCR), კვამლგამწოვი არ უნდა იყოს მიერთებული ტრადიციული ტიპის კოლექტიურ განშტოებებთან საკვამურზე.

მხოლოდ C ტიპის კონფიგურაციით დამონტაჟებული ბოილერების შემთხვევაში, კვამლსადინარი შეიძლება დავაკავშიროთ ცალკეულ კვამლგამწოვთან ან კოლექტიურ გამწოვ ქსელთან.

B<sub>23</sub> კონფიგურაციის პირობებში ნებადართულია წვის პროდუქტების განწოვა მხოლოდ ერთი კვამლგამტარიდან ან პირდაპირ ატმოსფეროში ჩაშვება სპეციალური ტერმინალის საშუალებით, თუ ადგილობრივი რეგულაციები ამის საშუალებას იძლევა.

კოლექტიური კვამლსადინარები ასევე უნდა იყოს დაკავშირებული მხოლოდ C ტიპის და ერთი და იგივე სახეობის მონწყობილობებთან, (კონდენსაცია), რომელთა ნომინალური სითბური სიმძლავრეების სხვაობა, მაქსიმალურთან შედარებით 30%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, ამავე დროს, უნდა ჰქონდეთ ერთი და იგივე კვების წყარო.

ერთსა და იმავე კოლექტიურ საკვამურთან დაკავშირებული მონწყობილობების თერმო-თხევად-დინამიური მახასიათებლებს შორის სხვაობა (აორთქლების მასის ნაკადის სიმძლავრე, ნახშირორჟანგის %, ტენიანობის % და ა.შ.), საშუალო მონწყობილობასთან მიმართებაში, 10%-ს არ უნდა აღმატებოდეს.


კოლექტიური საკვამურები დაპროექტებული უნდა იქნას გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და მოქმედი ტექნიკური სტანდარტების (მაგალითად, UNI EN 13384) მკაცრი დაცვით, პროფესიონალი, კვალიფიციური ტექნიკური პერსონალის მიერ.

საკვამურის ან სადინრების ის მონაკვეთები, რომლებზეც უნდა მიერთდეს კვამლგამწოვი მილი უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი ტექნიკური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ჩვეულებრივი C ტიპის დანადგარის ჩანაცვლება კონდენსატორულით, კოლექტიურ კვამლსადინართან მიერთების შემთხვევაში, შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში.

### 1.29 სადინრები, საკვამურები, კვამლგამწოვი მოლები და ტერმინალები

კვამლსადინარები, საკვამურები და სხვა, წვის პროდუქტების საევაკუაციო მილები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი რეგულაციების მოთხოვნებს.



51

#### გამოსაბოლქვი ტერმინალების განლაგება კედელზე.

გამოსაბოლქვი ტერმინალები უნდა :

- განთავსება შენობის გარე პერიმეტრულ კედლებზე (ნახ. 51);
- მოწყობილობა დაამონტაჟეთ ისე, რომ დისტანციები შეესაბამებოდეს მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტში მითითებულ მინიმალურ მნიშვნელობებს.

#### ბუნებრივ ან ფორსირებული ნაკადზე მომუშავე მოწყობილობების წვის პროდუქტების განოვა ნახევრად დახურულ სივრცეში.

ღია ცის ქვეშ, ყველა მხრიდან შემოზღუდულ არეალში (სავენტილაციო შახტები, ლილვები, ეზოები და მსგავსი) დაშვებულია ბუნებრივი ან იძულებითი ცირკულაციის გაზზე მომუშავე, 4-ზე მეტი და არაუმეტეს 35 kW სითბური სიმძავრის დანადგარების წვის პროდუქტების პირდაპირი გამოდინება, იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა პირობა დაცულია.

### 1.30 სისტემის შევსების წყლის დამუშავება


როგორც უკვე აღინიშნა წინა პარაგრაფებში, დადგენილია თერმული, ჰიდრავლიკური და სანიტარული მოწყობილობის წყლის დამუშავების (როდესაც სისტემაში ჩაშენებულია საცავი ავზი) მეთოდი, მოქმედი ადგილობრივი ნორმების შესაბამისად.

პარამეტრები, რომლებიც გავლენას ახდენენ სითბოს გადამცვლელის ხანგრძლივობასა და ეფექტიან ფუნქციონირებაზე: PH, მთლიანი სიხისტე, გამტარობა, ჟანგბადის არსებობა შევსების წყალში, ამ ჩამონათვალს ემატება სისტემის დამუშავების ნარჩენები (შედულების ნებისმიერი ნარჩენები), ზეთების და კოროზიის პროდუქტების სავარაუდო არსებობა, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს სითბოს გადამცვლელის დაზიანება.

ამის თავიდან ასაცილებლად გირჩევთ:

- ინსტალაციის დაწყებამდე, როგორც ახალი, ასევე ნახმარი დანადგარის შემთხვევაში, აუცილებელია სისტემის განმენდა სუფთ წყლით, ჯმყარი ნარჩენებისგან გასასუფთველად.
- მოწყობილობის გასუფთავება ქიმიური წმენდის სისტემით:
  - ახალი მოწყობილობის დასუფთავებისას მის გულდასმით განმენდასთან ერთად, გამოიყენეთ სათანადო განმმენდი საშუალებები (როგორცაა Sentinel X300 Fernox Cleaner F3 ან Jenaqua 300).
  - ძველი მოწყობილობის დასუფთავებისას მის გულდასმით განმენდასთან ერთად, გამოიყენეთ სათანადო განმმენდი საშუალებები (როგორცაა Sentinel X400 ან X800, Fernox Cleaner F3 ან Jenaqua 400).
- შეამოწმეთ საერთო მაქსიმალური სიმტკიცე და შესავსები წყლის რაოდენობა, როგორც ეს გრაფიკზეა (ნახ.52) მითითებული. თუ წყლის შემცველობა და სიხისტე მითითებულ მრუდზე ქვემოთაა, კალციუმის კარბონატის შემცველობის შეზღუდვის მიზნით, არ არის საჭირო სპეციფიური დამუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნება შემავესებელი წყლის დამუშავება.
- თუ საჭიროა გახდა წყლის დამუშავების უზრუნველყოფა, ეს უნდა განხორციელდეს შევსების წყლის სრული დემინერალიზაციის გზით. სრული დარბილებისგან განსხვავებით, დემინერალიზაციის დროს, გარდა სიხისტის გამომწვევი აგენტების (Ca, Mg) გამოდევნისა, გამოიდევენება აგრეთვე ყველა სხვა მინერალი შესავსები წყლის გამტარობის შესამცირებლად 10 მილისიმ./სმ-მდის. დაბალი იონური გამტარობის წყალბით, დემინერალიზირებული წყალი არა მხოლოდ ხელს უშლის კორქვის ნადების წარმოქმნას, არამედ იცავს აგრეთვე კოროზიისგან.
- გამოიყენეთ შესაბამისი ინჰიბიტორი/პასივატორი (როგორცაა Sentinel X100, Fernox Protector F1 ან Jenaqua 100) საჭიროების შემთხვევაში ასევე დაამატეთ შესაბამისი ანტიფრიზის სითხე (მაგალითად Sentinel X500, Fernox Alphi 11 ან Jenaqua 500).
- შეამოწმეთ წყლის ელექტრული გამტარობა, რომელიც არ უნდა აღმატებოდეს 2000 მიკროსიმ./სმ-ს დამუშავებული წყლის შემთხვევაში და 600 მიკროსიმ./სმ-ს - გაუმენდავი წყლის შემთხვევაში.
- კოროზიის თავიდან ასაცილებლად, სისტემის წყლის PH უნდა მერყეობდეს 7,5-დან 9,5-მდე მაჩვენებელზე.
- შეამოწმეთ ქლორიდის მაქსიმალური შემცველობა, მისი დონე უნდა იყოს 250 მგ/ლ-ზე ნაკლები.

**i** წყლის გამმენდი პროდუქტების რაოდენობასა და გამოყენების მეთოდებზე იხილეთ მწარმოებლის მიერ მოწოდებული ინსტრუქციები.



მინიმუმება (ნახ. 52):  
 X - წყლის საერთო სიხისტე °F  
 Y - სისტემაში წყლის ტევადობა ლიტრებში

**i** სქემა გათვლილია დანადგარის არსებობის სრულ ციკლზე. შესაბამისად, გაითვალისწინეთ სისტემის ორდინალური და განსაკუთრებული მოვლის პროცესი, რომელიც გულისხმობს მის დაცლასა და ხელახლა შევსებას.

### 1.31 სისტემის შევსება

მონყობილობის მიერთების შემდეგ, გააგრძელეთ სისტემის შევსება სპეციალური, შევსების ონკანის მეშვეობით (ნან. 25, ნახ. 56).

სისტემის წყლით შევსება უნდა განხორციელდეს ნელ-ნელა, თანდათანობით, იმგვარად, რომ წყალში არსებულ ჰაერის ბუშტებს საშუალება მიეცეთ, გამოიღვენონ გამათბობელი ქვაბისა და გათბობის სისტემის სავენტილაციო ღიობებიდან.

მონყობილობაში ჩაშენებულია ავტომატური ჰაერგამწოვი სარქველი, რომელიც ცირკულატორზეა განთავსებული (ნან. 19, ნახ. 56).

შემდეგ გახსენით რადიატორის სავენტილაციო სარქველები.

რადიატორის სავენტილაციო სარქველები უნდა დაიხუროს, თუ მათგან მხოლოდ წყალი გამოდის.

შევსების ონკანი უნდა დაიხუროს, როდესაც დანადგარის მანომეტრი მიუთითებს დაახლოებით 1,2 ბარს.



ამ ოპერაციების შესრულებისას გააქტიურეთ მონყობილობაში არსებული ავტომატური ვენტილაციის ფუნქციები (პარაგ. 3.14);

### 1.32 კონდენსატის შემგროვებელი სიფონის შევსება



**მონყობილობის პირველი ჩართვისას, კონდენსატის მილსადენიდან გამოიღვენება წვის პროდუქტები, დარწმუნდით, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ წვის ორთქლი აღარ გამოდინდება კონდენსატის გამწოვიდან, თუ ეს ასეა, ნიშნავს, რომ სიფონი შეივსო კონდენსატის სათანადო სიმაღლეზე და აღრიცხვავა კვამლის გავლის საშუალებას.**

### 1.33 გაზზე მომუშავე სისტემის ექსპლუატაციაში გაშვება

გაშვებისთვის აუცილებელია მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინება.

ეს განაპირობებს მონყობილობების და, შესაბამისად, ექსპლუატაციაში გაშვების ოპერაციების დაყოფას სამ კატეგორიად: ახალი, მოდიფიცირებული და რეაქტივირებული მონყობილობები.

განსაკუთრებით ახლად შექმნილი გაზზე მომუშავე დანადგარების შემთხვევაში აუცილებელია:

- გახსენით ფანჯრები და კარები;
- თვიდან აიცილეთ ნაპერწკლებისა და თავისუფალი ალის წარმოქმნა;
- მილებში არსებული ჰაერის განმენდის განხორციელება;
- შამონმეთ სისტემის შიდა ნაწილის მდგრადობა არსებული ტექნიკური ნორმატივებით გათვალისწინებული მითითებების მიხედვით.

### 1.34 დანადგარის ექსპლუატაციაში გაშვება (ჩართვა)

1. შეამოწმეთ მოხმარებული გაზის რაოდენობის შესაბამისობა სისტემის მოხმარებისთვის გათვალისწინებული გაზის რაოდენობასთან;
2. შეამოწმეთ კავშირი 230V-50Hz ქსელთან, LN პოლარობის და დამინების კავშირის დაცვა;
3. დარწმუნდით, რომ არ არსებობს კვამლის გაჟონვის საფრთხის წარმოქმნის გარე ფაქტორები;
4. ჩართეთ მონყობილობა და შეამოწმეთ ანთების გამართული მუშაობა;
5. შეამოწმეთ, რომ გაზის ნაკადის სიჩქარე და ფარდობითი წნევა შეესაბამება გამოყენების სახელმძღვანელოში მითითებულ პარამეტრებს (პარაგ. 41);
6. შეამოწმეთ დამცავი მონყობილობის ჩარევა გაზის ნაკლებობის შემთხვევაში და ჩარევის შედარებითი დრო;
7. შეამოწმეთ მონყობილობის ზედა ნაწილში და მის შიდა ნაწილში განთავსებული მთავარი გადამრთველის გამართული მუშაობა.
8. დარწმუნდით, რომ შემწოვი/გამწოვი ტერმინალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დახშული არაა;
9. შეამოწმეთ, რომ სიფონი სასვია და დაინტერესებულ სივცეში კვამლის გაჟონვის საფრთხე არ არსებობს;
10. ჩაატარეთ კვამლგამწოვი მილის ტესტი.




თუ შემოწმებისას უსაფრთხოების თუნდაც ერთი პარამეტრი უარყოფითი აღმოჩნდა, თავი უნდა შევიკავოთ სისტემის ამოქმედებისგან.

### 1.35 საცირკულაციო ტუმბო


მონყობილობები აღჭურვილია ცვლადი სიჩქარის ცირკულატორით.

გათბობის რეჟიმში მუშაობისას ხელმისაწვდომია ორი ტიპის მოდალობა, რომელთა არჩევა შესაძლებელია მენიუდან „Programmazione scheda elettronica“ - ელექტრონული დაფის პროგრამირება (პარაგ. 3.11).


  $\Delta T$  კონტროლის გააქტიურება შესაძლებელია გათბობის სისტემისა და მონყობილობის მახასიათებლებთან შესაბამისობაში.


- **პროპორციული სხვაობა (A3 = 0):** ცირკულატორის სიჩქარე მერყეობს სანთურის მიერ მიწოდებული სიმძლავრის მიხედვით, რაც უფრო დიდია სიმძლავრე მით მეტია სიჩქარე.
- **$\Delta T$  მუდმივი (A3 = 5 ÷ 25 K):** ცირკულატორის სიჩქარე იცვლება, რათა მუდმივი დარჩეს  $\Delta T$  მაჩვენებელი სისტემის გადინებისა და შემოდინების ნაკადს შორის, წინასწარ შერჩეული K მნიშვნელის მიხედვით (**A3 = 15 Default**).
- **ფიქსირებული:** "A1" და "A2" პარამეტრების დაყენებით ერთსა და იმავე მნიშვნელზე (7 ÷ 9) ცირკულატორი მუშაობს მუდმივი სიჩქარით. გამაცხელებლის გამართული მუშაობისთვის დაუშვებელია, წინასწარ მითითებულ მინიმალურ მნიშვნელზე დაბლა ჩამოსვლა.


ზემოთ მითითებული ზომების დაცვა აუცილებელია მონყობილობის უსაფრთხო და სწორი მონტაჟისთვის და ტექნიკურ რეგლამენტით გათვალისწინებული ნორმების დასაცავად.

 ფაზაში ცირკულატორი ყოველთვის მაქსიმალური სიჩქარით მუშაობს.


#### ტუმბოს სიმბოლოები (ნახ. 53):


თუ ცირკულატორი კვების წყაროზეა ჩართული და pwm კონტროლის სიგნალი მიერთებული და გააქტიურებულია (ცირკულატორი ON ან Stand-by რეჟიმზე), სიმბოლო 2 განათებულია მწვანე მოციმციმე შუქით ().

თუ სიმბოლო 2 აინთება სტაბილური მწვანე შუქით () , ტუმბო pwm სიგნალზე ბრძანებას არ დააფიქსირებს და განაგრძობს მუშაობას მაქსიმალური სიჩქარით.

თუ ტუმბო აღმოაჩენს საგანგაშო სიგნალს, ჩაირთვება სიმბოლო 1 და გახდება წითელი ფერის (). ეს ნიშნავს, რომ საჭმე გვაქვს შემდეგი ანომალიებიდან ერთ-ერთთან :

- კვების წყაროს დაბალი ძაბვა.
- როტორის ბლოკირება (ძრავის ლილვის ხელით განსაბლოკად საჭიროა, უკიდურესი სიფრთხილით გადავატრიალოთ ხრახნი თავის ცენტრში).
- ელექტრობის გაუმართაობა.

 მსგავსი ანომალიები გამათბობელი ქვაბის ეკრანზე მითითებულია როგორც ხარვეზი "E60" ან ხარვეზი "E61".



#### მინიშნება (ნახ. 53):

- 1 - განგაშის სიგნალი (Rosso-წითელი)
- 2 - მუშა მდგომარეობის მიმანიშნებელი სიგნალი (Verde fisso -მუდმივი მწვანე / Verde lampeggiante -მწვანე ციმციმა)
- 3 - შუქდიოდის Led ინდიკატორი (არ გამოიყენება ამ მოდელზე)

53



**ტუმბოს სავარაუდო განბლოკვა.**

თუ დიდი ხნის უმოქმედლობის შემდეგ ცირკულაციური ტუმბო დაბლოკილია, ძრავის ლილვის განსაბლოკად საკმარისია, გადავატრიალოთ ხრახნი თავის ცენტრში.

აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა ამ ოპერაციის შესრულებისას, რათა თვიდან ავიცილოთ მოწყობილობის დაზიანება.

**ბაიპასის რეგულირება (პარაგრაფი 1.37).**

მოწყობილობა ქარხნიდან გამოდის ღია ბაიპასით.


განსაკუთრებული სისტემური მოთხოვნების საჭიროების შემთხვევაში, ბაიპასი შესაძლოა დარეგულირებულ იქნას მინიმუმზე (დახურული ბაიპასი) ან მაქსიმუმზე (ღია ბაიპასი).

რეგულირება ხორციელდება ბრტყელი სახრახნის მეშვეობით: საათის ისრის მიმართულებით დატრიალებისას ბაიპასი იხსნება, ხოლო საწინააღმდეგო მიმართულებით დატრიალებისას - იკეტება.

**i** რამდენიმე ზონად დაყოფილი სისტემების შემთხვევაში, ბაიპასის არსებობა მოწყობილობაში წყლის მინიმალურ ცირკულაციას და მის სწორ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

**სისტემის მოცემული სხვაობა.**

**Victrix Tera V2 24 Plus EU**




**მინიმუმება (ნახ. 54)**

- 1 = სისტემის მოცემული სხვაობა სიჩქარის 95% -ის პირობებში დახურული ბაიპასით
- 2 = სისტემის მოცემული სხვაობა 95% სიჩქარეზე ღია ბაიპასით
- 3 = სისტემის მოცემული სხვაობა 65% სიჩქარეზე დახურული ბაიპასით
- 4 = სისტემის მოცემული სხვაობა 65% სიჩქარეზე ღია ბაიპასით
- 5 = ცირკულატორის მიერ შთანთქმული სიმძლავრე 95% სიჩქარეზე დახურული ბაიპასით
- 6 = ცირკულატორის მიერ შთანთქმული სიმძლავრე 65% სიჩქარეზე დახურული ბაიპასით

- 1 და 3 მუხლებს შორის არეალი = სისტემის მოცემული სხვაობა დახურული ბაიპასით
- 2 და 4 მუხლებს შორის არეალი = სისტემის მოცემული სხვაობა ღია ბაიპასით
- 5 და 6 მუხლებს შორის არეალი = ცირკულატორის მიერ შთანთქმული სიმძლავრე დახურული ბაიპასით

- X1 = სიმძლავრე (ლ/სთ)
- Y1 = სხვაობა (კილოპასკალი/kPa)
- Y2 = ცირკულატორის მიერ შთანთქმული სიმძლავრე (W)

54




მინიშნება (ნახ. 55)

- 1 = სისტემის მოცემული სხვაობა სიჩქარის 95% -ის პირობებში დახურული ბაიპასით
  - 2 = სისტემის მოცემული სხვაობა 95% სიჩქარეზე ღია ბაიპასით
  - 3 = სისტემის მოცემული სხვაობა 65% სიჩქარეზე დახურული ბაიპასით
  - 4 = სისტემის მოცემული სხვაობა 65% სიჩქარეზე ღია ბაიპასით
  - 5 = ცირკულატორის მიერ შთანთქმული სიმძლავრე 95% სიჩქარეზე დახურული ბაიპასით
  - 6 = ცირკულატორის მიერ შთანთქმული სიმძლავრე 65% სიჩქარეზე დახურული ბაიპასით
- 1 და 3 მუხლებს შორის არეალი = სისტემის მოცემული სხვაობა დახურული ბაიპასით
- 2 და 4 მუხლებს შორის არეალი = სისტემის მოცემული სხვაობა ღია ბაიპასით
- 5 და 6 მუხლებს შორის არეალი = ცირკულატორის მიერ შთანთქმული სიმძლავრე დახურული ბაიპასით
- X1 = სიმძლავრე (ლ/სთ)  
 Y1 = სხვაობა (კილოპასკალი/kPa)  
 Y2 = ცირკულატორის მიერ შთანთქმული სიმძლავრე (W)

### 1.36 კომპლექტები ხელმისაწვდომია მოთხოვნისამებრ

**i** პროდუქტთან კომბინირებადი ხელმისაწვდომი კომპლექტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ Immergas-ის ინტერნეტ საიტს, ან შეამოწმეთ Immergas-ის პროდუქტების ფასების სია ან ტექნიკურ-კომერციულ დოკუმენტაცია (კატალოგები და ტექნიკური მონაცემების სახელმძღვანელოები).

### 1.37 ძირითადი კომპონენტები



56

მინიშნება (ნახ. 56):

- |   |  |
|---|--|
| 1 - გამაცხელებელი სისტემის გაფართოების ავზი           | 14 - კონდენსაციის მოდული                       |
| 2 - სანთურა   | 15 - მალე                                      |
| 3 - აალების და დეტექტირების სანთელი                   | 16 - წნევის სიგნალის ვენტილაციისთვის მიერთება  |
| 4 - ჰაერშემწოვი მილი                                  | 17 - დაბრუნების ზონდი                          |
| 5 - მინოდების ზონდი                                   | 18 - სისტემის წნევის შეცვლა                    |
| 6 - ვენტილატორი                                       | 19 - ჰაერის გამწოვი სარქველი                   |
| 7 - კონდენსატის გადინების სიფონი                      | 20 - ქვაბის ცირკულატორი                        |
| 8 - გაზის საჭეშენი                                    | 21 - 3 ბარიანი უსაფრთხოების სარქველი           |
| 9 - გაზის სარქველი                                    | 22 - ბაიპასი                                   |
| 10 - სისტემის სადრენაუო ონკანი                        | 23 - სამმხრივი (მოტორიანი) სარქველი            |
| 11 - საცავი ავზის გადინების/შედილების ნაკადის ბაიპასი | 24 - გამოსაბოლქვის სარქველის სასიგნალო ვაჭშირი |
| 12 - სინჯის კონტეინერი (ჰაერი A) - (კვამლი F)         | 25 - სისტემის შევსების ონკანი                  |
| 13 - კვამლის ზონდი                                    |  |

## 2 გამოყენებისა და მოვლის ინსტრუქციები

### 2.1 ზოგადი გაფრთხილებები



**მოათავსეთ მონყობილობა გაზქურის ზედაპირიდან ამაველი ორთქლის ზემოქმედებისგან დაცულ ადგილას.**



აპარატის გამოყენება შესაძლებელია 8 წლიდან ასაკის ბავშვების მიერ და ფიზიკურად თუ გონებრივად შეზღუდული უნარების მქონე პირების მიერ, აგრეთვე პრაქტიკული გამოცდილების ან სათანადო სპეციფიური ცოდნის არ მქონე პირების მიერ, იმ პირობით, რომ ისინი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან ან მას შემდეგ რაც მიიღებენ ინსტრუქციებს დანადგარის უსაფრთხო გამოყენებისა და მისი არასწორად გამოყენების საფრთხეების შესახებ.

დაუშვებელია ბავშვების თამაშში მონყობილობასთან.

მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი მონყობილობის გასუფთვება და მოვლა არ უნდა განხორციელდეს უფროსების მეთვალყურეობის გარეშე დატოვებული ბავშვების მიერ.



**უსაფრთხოების მიზნით, გადაამოწმეთ,, რომ ჰაერის მიმღები/გამოსაბოლქვი ტერმინალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მცირე ხნითაც კი არ იყვნენ დახშული.**



როდესაც გადანყვებთ მონყობილობის დროებით გამორთვას, თქვენ უნდა:

- a) ჰიდრაულიკური სისტემის დაცლა იმ მონყობილებებში, სადაც ყინვის საწინააღმდეგო ნაკრები გათვალისწინებული არაა;
- b) ელექტროენერჯის, წყლისა და გაზის მიწოდების შეწყვეტა.



კვამლსადენი მილების ან კვამლგამწოვი სისტემის მონყობილობების მახლობლად მდებარე შენობა-ნაგებობებზე ტექნიკური ან რაიმე სხვა ტიპის სამუშაოების მიმდინარეობის შემთხვევაში, გამორთეთ დანადგარი და სამუშაოების დასრულების შემდეგ, შეამოწმებინეთ კვამლგამწოვი სისტემისა და გამოსაბოლქვი მილების გამართული მუშობა კვალიფიციურ ტექნიკურ პერსონალს.



**არ განმინდოთ მონყობილობა ან მისი ნაწილები ადვილად აალებადი ნივთიერებებით.**



**არ დატოვოთ კონტეინერები და აალებადი ნივთიერებები ოთახში, სადაც მონყობილობაა დამონტაჟებული.**



არ გახსნათ და არ დააზიანოთ მონყობილობა.



დაუშვებელია შემწოვი და გამოსაბოლქვი მილების დაშლა ან მათზე მანიპულირება.



გამოიყენეთ მხოლოდ მომხმარებლის ინტერფეისის მონყობილობები, რომლებიც ჩამოთვლილია მომხმარებლის სახელმძღვანელოს ამ ნაწილში.



**არ აცოცდეთ დანადგარზე, არ გამოიყენოთ მონყობილობა საყრდენ ობიექტად.**



გაუმართაობის, ავარიის ან არასრულყოფილი მუშაობის შემთხვევაში, გამაცხელებელი სისტემა უნდა გამორთოთ და გამოიძახოთ კვალიფიციური კომპანია (მაგალითად, ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრი, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ტექნიკური მომზადება და აღჭურვილია ორიგინალური სათადარიგო ნაწილებით).  
თავი შეიკავეთ ნებისმიერი თვითნებური ჩარევისა და შეკეთების მცდელობისგან.



**ნებისმიერი ელექტროენერგიაზე მომუშავე კომპონენტის გამოყენება, მოითხოვს გარკვეული ფუნდამენტური ნესების დაცვას, როგორცაა:**

- არ შეეხოთ მონყობილობას სველი ან ნესტიანი ხელით ან სხეულის სხვა ნაწილით, თუნდაც შიშველი ფეხებით;
- არ მოქაჩოთ ელექტრო კაბელები, არ დატოვოთ მონყობილობა ატმოსფერული ნალექების (წვიმა, მზე და ა.შ.) ზემოქმედების ქვეშ;
- დაუშვებელია მოხმარებლის მიერ განადგარის ელექტრომომარაგების კაბელის შეცვლა;
- ელექტრომომარაგების კაბელის დაზიანების შემთხვევაში, გამორთეთ მონყობილობა და დაუკავშირდით მხოლოდ კვალიფიციურ პერსონალს მის შესაცვლელად;
- თუ მონყობილობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში უმოქმედოდ უნდა იყოს, სასურველია გამორთოთ მთავარი გარე გადამრთველი მონყობილობიდან.



**(როდესაც სისტემაში ჩაშენებულია საცავი ავზი):**  
50 ° C-ზე მაღალ ტემპერატურაზე წყალმა შეიძლება გამოიწვიოს მძიმე დამწვრობები.  
გამოყენებამდე ყოველთვის შეამოწმეთ წყლის ტემპერატურა.



ეკრანზე მითითებული ტემპერატურა, დანადგარისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შესაძლოა მერყეობდეს +/- 3°C დიაპაზონში, რაც დამოკიდებულია გარემო პირობებზე.



**თუ შენობებში შეიმჩნევა გაზის სუნი:**

- გადაკვეთეთ გაზის მრიცხველის გამთიში მონყობილობა ან მთავარი გამორთვის მონყობილობა;
- თუ შესაძლებელია, დაკვეთეთ გაზის ჩამკეტი ონკანი მონყობილობაზე;
- თუ შესაძლებელია, ფართოდ გახსენით ვარები და ფანჯრები, რათა გამოიწვიოთ ორპირი ქარი;
- არ გამოიყენოთ ღია ცეცხლი (მაგალითად: სანთებელა, ასანთი);
- ნუ მოსწევთ;
- არ გამოიყენოთ ელექტრო ჩამრთველები, შტეფსელები, ბარები, ტელეფონები და შიდა ტელეფონები;
- დარეკეთ კვალიფიციურ კომპანიაში (მაგალითად, ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრში).



თუ იგრძნობთ წვის სუნს ან ამჩნევთ დანადგარიდან გამომავალ კვამლს, გამორთეთ მონყობილობა, გამოაერთეთ ელექტროენერგიის მიწოდების წყაროდან, გადაკვეთეთ გაზის მიწოდების მთვარი ონკანი, გახსენით ფანჯრები და დაუკავშირდით კვალიფიციურ კომპანიას (მაგალითად, ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრს).



დაუშვებელია დაძველებული დანადგარის განადგურება, როგორც ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ნაგვისა ან მისი მიტოვება გარემოში, მის მოსასხსნელად უნდა მიმართოთ პროფესიონალურ, უფლებამოსილ კომპანიას ან სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად . განადგურების ინსტრუქციებისთვის დაუკავშირდით მწარმოებელს.

## 2.2 გასუფთავება და მოვლა



მონყობილობის გამართულობის, უსაფრთხოების, ეფექტიანობისა და საიმედოობის შესანარჩუნებლად, აუცილებელია, დანადგარის ტექნიკური მოვლა-დათვალიერების განხორციელება ყოველწლიურად, როგორც აღნიშნულია „დანადგარის წლიურ ინსპექტირებას და ტექნიკური დათვალიერება“-ის შესაბამის პუნქტში მოქმედი ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.


ტექნიკური შემოწმება

მომხმარებელი

ტექნიკოსი

ტექნიკური მონაცემები

## 2.3 მართვის პანელი



57

მინიშნება (ნახ. 57):

- |   |  |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>1 - ღილაკები Off/Stand-by/ზაფხული/ზამთარი</li> <li>2 - ინფორმაციის ღილაკი</li> <li>3 - გადატვირთვის ღილაკი</li> <li>4 - ღილაკი შიდა წყლის ტემპერატურის შესამცირებლად</li> <li>5 - შიდა წყლის ტემპერატურის მოსამატებელი ღილაკი</li> <li>6 - სისტემის წყლის მიწოდების ტემპერატურის მოსამატებელი ღილაკი</li> <li>7 - ღილაკი სისტემაში მიწოდებული წყლის ტემპერატურის შესამცირებლად</li> <li>8 - ქვაბის მანომეტრი</li> <li>9 - საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის წარმოების ფაზა აქტიურია</li> <li>10 - ქვაბი დაკავშირებულია v2 დისტანციური კონტროლის სიტემასთან (ფაკულტატიური) ან სხვა გარე მონყობილობებთან</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>11 - ნაპერწკლის სიმბოლო და სიმძლავრის შედარებითი სკალა</li> <li>12 - ფუნქციონირება გარე ტემპერატურის ზონდით გააქტიურებულია (ფაკულტატიური)</li> <li>13 - აქტიური მზის ფუნქცია (ამ მოდელზე მიუწვდომელია)</li> <li>14 - ოთახის გათბობის ფაზის მუშაობა გააქტიურებულია</li> <li>15 - გათბობის დაყენების დონის მაჩვენებელი</li> <li>16 - ქვაბი Stand-by/ლოდინის რეჟიმში</li> <li>17 - ზამთრის რეჟიმზე მუშაობა</li> <li>18 - მუშაობა ზაფხულის რეჟიმში</li> <li>19 - ტემპერატურის მაჩვენებელი, ქვაბის შესახებ ინფორმაცია და ტექნიკური შეცდომის კოდები</li> <li>20 - არ გამოიყენება ამ მოდელზე</li> <li>21 - ქვაბი დაბლოკილია აუცილებელია განბლოკვის განხორციელება "RESET" ღილაკით</li> <li>22 - საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის დონის მაჩვენებელი</li> </ul> |
|---|--|



## 2.4 მონყობილობის გამოყენება



თუ ქვაბში ინტეგრირებულია Trio Pack Hybrid- ი, დანადგარის გამოყენებისთვის იხილეთ ჰიბრიდულ სითბოს ტუმბოს შესახებ ბროშურა.



ჩართვამდე შეამოწმეთ, რომ სისტემა სავსეა წყლით და რომ წნევის მრიცხველის ისარი(8) მიუთითებს 1 ÷ 1,2 ბარს შორის პარამეტრს.

- გახსენით მონყობილობის ზემოთ განთავსებული გაზის ონკანი.
- დააჭირეთ თანმიმდევრობით ღილაკს "ტაქტი" იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ციკლურად გადართვა "stand-by" (ტაქტი)/ლოდინის რეჟიმიდან (ტაქტი)/ზაფხულის და (ტაქტი)/ზამთრის რეჟიმზე.

### ზაფხული

ამ რეჟიმში ქვაბი მხოლოდ საყოფაცხოვრებო ცხელ წყალს გამოიმუშავებს (თუ სისტემაში ჩაშენებულია საცავი ავზი), ტემპერატურის დაყენება ხორციელდება "ღილაკის" ღილაკის მეშვეობით და შესაბამისი ტემპერატურა ეკრანზე გამოისახება ინდიკატორის (ნახ. 57) სამუალებით, ამას გარდა, ინდიკატორზე (ნახ. 57). ნაჩვენებია ტემპერატურის დონის შესაძლო არჩევანი.

### ზამთარი

ამ რეჟიმში ქვაბი მუშაობს როგორც საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის წარმოების (თუ სისტემაში ჩაშენებულია საცავი ავზი), ასევე ოთახის გათბობის ფუნქციით. ჩვეულებრივ, საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის ტემპერატურა რეგულირდება "ღილაკების" გამოყენებით, ხოლო გათბობის ტემპერატურა - "ღილაკის" ღილაკის მეშვეობით. შესაბამისი ტემპერატურა გამოისახება დანადგარის ეკრანზე ინდიკატორით (ნახ. 57), ინდიკატორზე ასევე ნაჩვენებია ასარჩევი ტემპერატურის დონე (ნახ. 57).

ამ მომენტიდან ქვაბი ავტომატურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობს. გათბობის ბრძანების არ არსებობის შემთხვევაში (გათბობა ან საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის წარმოება, თუ სისტემაში ჩაშენებულია საცავი ავზი)), გამათბობელი გადადის "ლოდინი"-ს რეჟიმში, რაც ალის გარეშე მომუშავე გამათბობლის ექვივალენტურია. სანთურის ყოველი აალებისას ეკრანზე გამოჩნდება სათანადო, ალისა და შესაბამისი სიმძლავრის მასშტაბის მიმანიშნებელი სიმბოლო (ნახ. 57).


### v2 (CARv2) დისტანციური მართვის გადამცემით ფუნქციონირება (ფაკულტატიური)


თუ CARv2 მიერთებულია, მართვის პანელზე გამოჩნდება სიმბოლო (ღილაკი), ქვაბის რეგულირების პარამეტრების დაყენება შესაძლებელია CARv2-ის მართვის პანელიდან, გადატვირთვის ღილაკი აქტიური რჩება ქვაბის მართვის პანელზე (ნახ. 57), გამორთვის ღილაკი (ნახ. 57) (მხოლოდ "off" რეჟიმი) და ეკრანი, სადაც ნაჩვენებია მუშაობის სტატუსი.



თუ დანადგარს "off" მოდალობზე დააყენებთ, CARv2-ზე გამოჩნდება კვპირის დამყარების შეცდომის "ERR>სმ" სიმბოლო, თუმცა CARv2-ი კვების წყაროზე მიერთებული უნდა დავტოვოთ, რათა მასზე დამახსოვრებული პროგრამები არ წაიშალოს.

**გარე ზონდით ფუნქციონირება  (ფაკულტატიური)**

ფაკულტატიური გარე ზონდით აღჭურვილი გამათბობელი სისტემების შემთხვევაში, ქვაბის გამავალი ნაკადის ტემპერატურა სივრცის გასათბობად იმართება გარე ზონდით არსებულ გარე ტემპერატურასთან შესაბამისობაში (პარაგ. 1.12). შესაძლებელია გამავალი ნაკადის ტემპერატურის შეცვლა დილაკების  (ან CARv2 -ს მართვის პანელზე, თუ დაკავშირებულია ბოილერთან) მეშვეობით ოპერატიული მრუდის არჩევით „0-დან 9-მდე. პარამეტრის შერჩევით.

გარე ზონდის არსებობის პირობებში, დისპლეიზე გამოჩნდება შესაბამისი სიმბოლო  (12, Fig. 57).

**ლოდინის/"Stand-by" რეჟიმი**

შემდეგ დააჭირეთ დილაკს "ტ<sup>+</sup>ტ<sup>-</sup>", მანამ, სანამ არ გაქრება სიმბოლო (ტ), ამ მომენტიდან ქვაბი უმოქმედო მდგომარეობაში რჩება, თუმცა გარანტირებულია ყინვის საწინააღმდეგო, ტუმბოს დაბლოკვის საწინააღმდეგო და სამმხრივი ფუნქცია, ასევე საგანგებო შეტყობინების სიგნალი რაიმე ტიპის ანომალიის შემთხვევაში.

**გამორთვის / "OFF" რეჟიმი**

დილაკზე ტ<sup>+</sup>ტ<sup>-</sup> 8 წამის განმავლობაში დაჭრით ეკრანი ითიშება და ქვაბი მთლიანად გამორთულია. ამ რეჟიმში მუშაობისას უსაფრთხოების ფუნქციები არ არის გარანტირებული.

 **"Stand-by" და "Off" რეჟიმში, სისტემა ჟერ კიდევ მოქმედ მდგომარეობაშია. "Off" რეჟიმში ეკრანის ცენტრში ჩანს ანთებული წერტილი.**

**ეკრანის ფუნქციონირება**

მართვის პანელით სარგებლობის მომენტში დისპლეი განათებულია, გარკვეული დროის უმოქმედობის შემდეგ ნათება იკლებს, შესაძლებელია განათების რეჟიმის შეცვლა "t8" პარამეტრის გამოყენებით ელექტრონული დაფის პროგრამირების მენიუდან.

## 2.5 შეტყობინება ხარვეზებისა და ანომალიების შესახებ

ქვაბი უჩვენებს ნებისმიერი სახის გაუმართაობას ეკრანზე გამოსახული კოდის საშუალებით (ნახ.57) შემდეგი ცხრილის მიხედვით:

შეცდომის კოდი	გამოვლენილია გაუმართაობა	მიზეზი	გამაცხელებელი ქვაბის მდგომარეობა / გამოსავალი
01	აალების არ შესრულების ბლოკირება	ოთახის გათბობის ან საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის წარმოების მოთხოვნის შემთხვევაში (თუ კომბინირებულია საცავის ავზთან), ქვაბი არ ჩაირთვება წინასწარ დადგენილ დროში. პირველი ჩართვისას ან ხანგრძლივი უნოქმედობის შემდეგ, შესაბამისად, საჭრო გახდეს ტექნიკოსის ჩარება ბლოკირების მოსახსნელად.	დააჭრეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
02	უსაფრთხოების თერმოსტატის ფუნქციონირების დაბლოკვა (NTC შემავალი / გამავალი ნაკადის გადაჭარბებული ტემპერატურა)	ნორმალური მუშაობის რეჟიმის დროს, თუ რაიმე ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია სისტემის შიდა გადახურება, ქვაბი ავტომატურად იბლოკება.	დააჭრეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
03	კვამლის თერმოსტატის ბლოკირება	ნორმალური მუშაობის რეჟიმის დროს, თუ გაუმართაობის შედეგად ადგილი აქვს გამოსაბოლქვი კვამლის გადახურებას, გამაცხელებელი ქვაბი იბლოკება.	დააჭრეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
04	საკონტაქტო წინაღობის ბლოკი / დაზიანებული დაფის აპარატურა	ელექტრონული დაფა გამოავლენს გაუმართაობას გაზის სარქველის კვების წყაროზე. შეამოწმეთ აღნიშნული მოწყობილობის კავშირი. (გაუმართაობა გამოვლენილი და ნაჩვენებია მხოლოდ მოთხოვნისამებრ). მას შემდეგ რაც დავრწმუნდებით, რომ გაზის სარქველი გამართულ მდგომარეობაშია, თუ ანომალიის მაჩვენებელი მაინც არ გაქრა გადატვირთვის ღილაკზე დაჭერის შემდეგ, საჭირო გახდება ელექტრონული დაფის შეცვლა.	დააჭრეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
05	მინოდების ზონდის გაუმართაობა	დაფა გამოავლენს გაუმართაობას გამავალი ნაკადის NTC ზონდზე.	გამათბობელი არ ირთვება (1).
<b>(1) თუ დანადგარის ბლოკირება ან გაუმართაობა დიდხანს გაგრძელდა, დახმარებისათვის მიმართეთ კვალიფიციურ კომპანიას, (მაგალითად, ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრს)</b>			
<b>(2) ამ ანომალიის შემთხვევა შესაძლებელია მხოლოდ "ინფორმაციის" მენიუში არსებული შეცდომების სიაში.</b>			

ტექნიკური მემონტაჟი

მომხმარებელი

ტექნიკოსი

ტექნიკური მონაცემები

შეცდომის კოდი	გამოვლენილია გაუმართობა	მიზეზი	გამაცხელებელი ქვების მდგომარეობა / გამოსავალი
08	გადატვირთვის მაქსიმალური რაოდენობა	უკვე შესრულებული გადატვირთვის ოპერაციების რაოდენობა.	გაუმართობის შემთხვევაში შესაძლებელია გადატვირთვა ზედიზედ 5-ჯერ, რის შემდეგაც ფუნქცია იბლოკება მინიმუმ ერთი საათით და შესაძლებელია მცდელობის განახლება ყოველ საათში ერთხელ, მაქსიმუმ 5 მცდელობამდის. სისტემის ელექტრომომარაგების წყაროდან გამორთვითა და ხელახალი მიერთებით 5 მცდელობის მანძი განახლდება.
10	სისტემის არასაკმარისი წნევა	გათბობის წრეში აღმოჩენილ იქნა წყლის არასაკმარისი წნევა, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ქვების სწორი ფუნქციონირებას.	შეამოწმეთ ქვების მანომეტრზე, რომ სისტემაში წნევა იყოს 1 ÷ 1,2 ბარს შორის და საჭიროების შემთხვევაში აღადგინეთ სწორი წნევა.
12	ბოილერის ზონდის ანომალია	დაფა აღმოაჩენს გაუმართობას ბოილერის ზონდზე (თუ სისტემაში ჩაშენებულია საცავი ავზი).	საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის წარმოება შეფერხებულია(1).
15	კონფიგურაციის ხარვეზი	დაფა გამოავლენს გაუმართობას ან შეუსაბამობას ქვების ელექტრული გაყვანილობაზე და არ ჩაირთვება.	ნორმალური პირობების აღდგენის შემთხვევაში ქვაბი გადატვირთვას არ საჭიროებს. შეამოწმეთ, რომ გამაცხელებელი ქვაბი სწორადაა კონფიგურირებული (1).
16	სავენტილაციო მონყობილობის გაუმართობა	ადგილი აქვს ვენტილატორის ტექნიკური ან ელექტრონული ხარვეზის შემთხვევაში.	დააჭრეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
20	პარაზიტული აალების ბლოკი	ადგილი აქვს საკონტროლო სისტემაში დისპერსიის ან ნაპერწკლის კონტროლის ანომალიის შემთხვევაში.	დააჭრეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
23	შემავალი ნაკადის ზონდის გაუმართობა	დაფა გამოავლენს გაუმართობას შემავალი ნაკადის NTC ზონდზე.	გამათბობელი არ ირთვება (1).
24	ღილაკის პანელის გაუმართობა	დაფა გამოავლენს ანომალიას ღილაკების პანელზე.	ნორმალური პირობების აღდგენის შემთხვევაში ქვაბი გადატვირთვას არ საჭიროებს (1).
29	კვამლის ზონდის გაუმართობა	დაფა გამოავლენს გაუმართობას კვამლგამწვავის ზონდზე.	გამათბობელი არ ირთვება (1).
<b>(1) თუ დანადგარის ბლოკირება ან გაუმართობა დიდხანს გაგრძელდა, დახმარებისათვის მიმართეთ კვალიფიციურ კომპანიას, (მაგალითად, ავტორიზებული ტექნიკური დახმარების ცენტრს)</b>			
<b>(2) ამ ანომალიის შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ "ინფორმაციის" მენიუში არსებული შეცდომების სიაში.</b>			

შეცდომის კოდი	გამოვლენილია გაუმართობა	მიზეზი	გამაცხელებელი ქვაბის მდგომარეობა / გამოსავალი
